



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

AVRIL

1932—№ 76

აპრილი

1932 წ.

№ 76

დასავლეთკავკასიელი საქართველოს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ დ .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—გაზაფხულის ხმები.
 ბოლშევიკური სკოლა და კულტურ. საქმიანობა.
 მ. მუსხელიშვილი-კონფ. შესულ სახ. სუფერენობა
 ვლ. ეპუხვაძე—კავკასიის კონფედ. პაქტისათვის.
 ს. შ—ლი—განთავისების კონფერენცია.
 ს. ფიშინაძე—ბრძოლის კავშირი.

ეროვნული მოძრაობა მაკმადიანთა შორის.
 საქართველოს ხმა ევროპაში.
 მ.—ანი—10 აპრილი.
 საქართველოს ამბები.
 ქართველები პარიზში.
 ს. ფ.—ისტორიული ამბები.

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ ი ს ხ მ ე ბ ი

ყოველ გაზაფხულს, მის მოახლოებისას ხმები გეწვდება ხალმე საბუთა კავშირიდან—დიდი ამბები მზადდება, საცაა იფეთქებსო. ხმები ისევე სისტემატიურათ ცრუდება, როგორც ვრცელდება.

რაზია საქმე, რატომ ვრცელდება ეს ხმები? რატომ არ მართლდება? ნუ თუ უსაფუძვლო ან კიდევ მტკნარი ფანტაზიის ნაყოფი? ჩვენ არ ვფიქრობთ ასე და აი რატომ. საბუთა კავშირში ისეთი ჯოჯოხეთური პირობები სუფევს, რომ მათი ატანა თითქო ყოველ ფანტაზიას აღემატება, მაშინ როდესაც მას მინც იტანს რუსის ხალხი, მთავარი წევრი კავშირისა! უკანასკნელის მოთმინება, პასივობა. ცნობილი «ნიჩევო» საანდაზოთ გამხდარა ყველგან.

მასხადამე, ერთის მხრით, ობიექტურ დაკვირვებას თითქო უტყუარ დასკვნამდე მიყვებარ, რომ შეუძლებელია რამე არ მოხდეს, მეორეს მხრით, შეუძლებელი შესაძლებელი ხდება და ყველაფერი თავის ადგილზედ რჩება.

იყო დრო, როცა ძალიან მხატვრულად აფასებდნენ სახელმწიფო ძალა უფლების ხელში ჩაგდებას. ბოლშევიზმის დამხობას თვიდან თვე ელოდნენ; ეს იყო, თუ გნებავთ, ლიბერალურ წრეების ორგულობის, ვიტყოდით—ლაღატის მიზეზი რევოლუციის მიმართ: სულ ერთია—ამბობდნენ ისინი—ბოლშევიზმი წაიქცევა, მასთან ერთათ სოციალისტებიც, და ძალაუფლება თავისით ჩაგვივარდება ხელშიო!

ესლა კი მტკიცდება, რომ ხელისუფლება თავის თავათ ისეთი მკვეთრი იარაღი ყოფილა, რომ ვინც მას დაეპატრონება, შეუძლია ძირიან-ბუდიანათ ამოაგდოს ქვეყანა და მინც ვერ იქნეს ძლეული. ბოლშევიკებმა, მართალია, ვეება ქვეყანა დაანგრის, დაცარცვეს, წაბილწეს, მაგრამ ზოგი რამ «ააშენეს» და ძალზედაც განავითარეს, ესაა ჩეკა-გეპუ და განსაკუთრებული რაზმები, რომელთაც ვერ შეედრება ვერც ერთი ქვეყნის პოლიცია და უანდარმერია; მათ მიერ შექმნილი, შეუდარებელი თავის დისციპლინით, პარტიული აპარატი განუკითხავათ ფლობს მცხოვრებთა სულსა და ხორცს. ამხედრება ამ საშინელ ძალთა წინამძღვე არც ისე ადვილია.

ბოლშევიკებმა სცადეს ეკონომიური ამშენებლობაც, სოციალიზმის განხორციელება «ერთ ქვეყანაში»,—აქედან ხუთწლედის, დამყარებული მონურ შრომაზედ. მაგრამ ეს ცდა ვერ გამართლდა, არ შეიძლებოდა გამართლებულიყო, ამისათვის არც ერთი პირობა არ არსებობდა.

ამ რიგათ, ჩვენ ვხედავთ სახელმწიფოს, სადაც ხელისუფლება უსახვროა, ხოლო ცხოვრება აუტანელი. იმდენათ აუტანელი, რომ ხალხი გარბის საზღვრებიდან, დაწყებული ციმბირით, გათავებული კავკასიით. გამოქცეულთა ხოცვა-ჟლეტა დნესტრზედ ყრუანტელს ჰგვრის კაცობრიობას, სპარსეთის, პოლონეთის, მანჯურიის საზღვრებზედ იგივე ხდება.

თითქო დადგა მომენტი, როცა სასოწარკვეთილ ხალხის წინ ისმის ყოფნა-არყოფნის კითხვა. შინ არ ედგომებათ, გარეთ არ უშვებენ, ან კი როგორ გადალახვენ მილიონები საზღვარს, ვინ შეიფარებს? მამ გამოსავალი ისევ ადგილზედ უნდა მოინახოს და ეს ერთად ერთია: რეჟიმის დანარცხება, უღლის გადაგდება. შესძლებს ხალხი, ცდის მაინც?

საქართველოდან, საზოგადოთ კავკასიიდან იტყობინებიან კოლექტივების სტიქიური დაშლა დაიწყო, ხელისუფლება ვერ აჩერებსო. ამის მიზეზი ის არის, რომ ჯამი ვერ ამართლებს გაწეულ შრომას, რაც მოიწიეს, ხელისუფლება ითვისებს, ხალხს საკვებიც არ რჩება. რუსეთსა და უკრაინაში მთელი რაიონები შიმშილობს, ახალი მოსავალი შორსაა, თან ნათესიც 50 პროცენტს ვერ აღწევს შედარებით გასულ წელთან.

ჩვენ ვერ ვიტყვით, მაშასადამე, რომ არ სჩანდეს ზოგიერთი ნიშნები ხალხის გამოფხიზლებისა. კოლექტივის დაშლა ერთ-ერთი ასეთი ნიშანია. ამ პროცესს ადგილი უნდა ჰქონდეს უკრაინაში, თვით რუსეთშიც. ამით არის, ცხადია, გამოწვეული პოლიტიკურ ბრძანება ძროხა და ფრინველი გლეხის კერძო კუთვნილებად უნდა დარჩესო. ხელისუფლება ტყდება, რომ კოლექტიურ კუთვნილებიდან ხეირი არ გამოდის, ამიტომ შესაძლებელი იყო დაგვეშვა, რომ ძროხას ხარიც მიყოლოდა და შემდეგ... მიწაც! მაგრამ ამისათვის მეტი ქკუა და უნაგარობაა საჭირო. ვინემ კრემლის ჯიელებს აქვთ, ეს ხომ დიქტატურაზე ხელის აღებას უდრის.

მონურ შრომაზედ ავებულ მეურნეობას თავისი ლოლიკა აქვს. ვინაიდან ყველაფერი სახელმწიფოს, ან უკეთ—კომპარტიას ეკუთვნის, უკანასკნელი პასუხისმგებელია თვით მონების ფიზიკურ არსებობაში. გლეხებმაც სწორეთ ასე გაიგეს: შევიდენ რა კოლექტივებში, თავი სახელმწიფოს მოსამსახურედ იგრძნეს და აქედან მას სთვლიან ვალდებულად კვებოს და ჩააცვას მათ, დამოუკიდებლათ იმისა იგებს თუ ზარალობს მეურნეობა. წარმოგიდგენიათ ასი მილიონ ხალხის რჩენა? რომელ სახელმწიფოს შეუძლია იკისროს ეს? ბლომვეიკებმა სწორეთ ეს ფანტასტიური და მასთან კრიმინალური ამოცანა დაისახეს.

უკეთესი მდგომარეობა არც მრეწველობაშია: მიუხედავთ «გიგანტებისა», რომელმაც თვალები აუჭრელა ზოგიერთ ევროპიელ სოციალისტებს, მუშა ხალხი გაცილებით უარეს პირობებშია, ვინემ ოდესმე. ამას ზედ ერთვის ჩერვონცების უბრალო ბონებად ქცევა, რაიცა თითქმის აბათილებს მუშის ხელფასს.

აქედან წარმოსდგა უცხოელ სპეცების საბჭოთა კავშირიდან მასიური ლტოლვა. ისინი მიიწვიეს იმ პირობით, რომ ჯამაგირად უცხო ვალიუტა ეძლიათ, ესლაკი დაუპირეს ჩერვონცებზე გადაყვანა. სპეცები გარბიან კიდევ იმისთვის, რომ ამ უკანასკნელათ საბჭოთა კავშირში ქსენოფობია საშიშ ფორმებს იღებს. ხალხი ვერ იტანს უცხოელ სპეცების და მუშების შედარებით კარგ პირობებში ცხოვრებას. აღმოფთებული ილაშქრებს მათ წინამდეგ და ზოგან სასიკვდილოთაც არ ზოგავს. დამახასიათებელია ამ მხრივ შტერნის ტყვია, რომლითაც დაიპირა გერმანიის საელჩოს მრჩეველი მოსკოვში ტვარდოვსკი.

გამოდის, უცხოელნი. მზგავსათ ვირთხებისა, სტოვებენ დაძირვაზე მიმდგარ ხომალდს—საბჭოთა კავშირს. დროა თითქო დაიძრას ხალხიც, ეძგეროს ხელისუფლებას. ნაწილობრივ ეს უკვე დაწყებულია კავკასიასა და თურქესტანში—ჩვენ სახეში გვაქვს პარტიზანობა—, მაგრამ ეს არ არის კითხვის გადაწყვეტა. პარტიზანობა ქვეყანას ვერ გაანთავისუფლებს—არა ერთხელ გვითქვამს აქ.

ჩვენ ვუბრუნდებით ისევ რუსის ხალხს, კავშირის მთავარ წევრს, არის თუ არა მასში რამე ცდა უღლის გადასაგდებათ? არა, საუბედუროთ, და რუს მემარცხენე ემიგრაციას რომ უყუროთ, იგი წინამდეგითაც რევოლუციურ გამოსვლების! მას ახალი საბაბიც გაუჩნდა ამისათვის: ომის საშიშროება იაპონიასთან. თუ მოსკოვი ომში ჩაითრის, ჩვენ ვალდებული ვართ შემოვკრბეთ მის ირგვლივ და ვიხსნათ საბჭოთა. კავშირი დანაწილებისაგან—ი რას გაიძახიან რუსის მემარცხენე ემიგრანტები.

როგორია ამ მხრივ მდგომარეობა? მანჯურისის საზღვრებიდან ალარმისტული ცნობები მოდის ამ უკანასკნელათ, მსოფლიოს ყურადღებაც იქითკენ არის მიქცეული. ესლა არავის ეპარება იქვი იაპონიის განზრახვაში დაგპყრას იმიერ ბაიკალი დაზღვის პირები ვლადივასტოკით. ამ გვემის მიმართ ერთგვარ ლმობიერებას იჩენენ დიდი სახელმწიფოები, გარდა ამერიკისა. დაფთხალი მოსკოვიც, როგორც სჩანს მისი პრესიდან, აგრეთვე რადეკის ინტერვიუდან, ამ ხავს ეპოტინება—ვინძლო დაიძრას ეს სახელმწიფო და გვერდში ამომიდგესო. ლიტვინოვიც შეეცდება, რა თქმა უნდა, ყენევაში დააჯეროს ამერიკის საგარეო მინისტრი სტიმსონი «ინტერესთა სოლიდარობაში».

რას ფიქრობს თვით რუსის ხალხი? აუარებელი ცნობები სხვადასხვა წყაროებიდან აადვილებს პასუხს ამ კითხვაზე: ხალხი ოცნებობს ომზე, ხსნას



აქედან ელის! და მართლაც, რაა ომი იმასთან შედარებით, რაც არის, უარესი რა უნდა მოელოდეს? რას ჰკარგავს ხალხი, თუ არა ჯაჭვებს, როგორც წინეთ იტყოდნენ? ერთი რამ ტრადიციად გადაეცა რუსის ხალხს: თავისუფლება მას მხოლოდ ომისგან მიუღია, ამიტომ მისი სულისკვეთებაც ასახსნელია.

სტალინმა და მისმა დამქაშებმა ჩინებულათ იციან ეს, ამიტომ ითრევენ ფეხს, მიდიან ყოველ დამცირებაზე იაპონიის წინაშე, ოღონდ თავიდან აიცილონ მასთან შეტაკება. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მათ უკვე ხელი აიღეს—ეს შეიძლება დაბეჯითებით ითქვას. ამით აიხსნება ისიც, რომ ასე დაჩქარებით ეზიდებიან ისინი მანჯურიიდან რკინის გზის მოძრავ ქონებას და უადვილებენ იაპონიის მიძიმე მრეწველობას შეავსოს დანაკლისი.

სად იყვენ, სად არიან? მანჯურიას, მთელს ჩინეთს ანარქიის ალში გახვევით ემუქრებოდნენ, ეხლა წელეებზედ ფეხს იდგმენ თავისი სამფლობელო არ დაჰკარგონ შორეულ აღმოსავლეთში. დიდი სახელმწიფოები სწორეთ ამ ანარქიის შიშით არ უძალდებოდნენ იაპონიას დაეჭირა მანჯურია და წესიერება დაემკვიდრებია იქ. ეხლა ზოგს მათგანს არაფერი აქვს წინააზრდა, რომ იაპონიამ გზა გაუხსნას «წესიერებას» რუსეთშიც, რომელიც მოსწყდა მსოფლიო ეკონომიას და მით გაამწვავა კრიზისი. რას იქს ამერიკა? —აი კითხვა, რომლის გადაჭრაზე დამოკიდებულია მეორე კითხვა: ომი თუ წავი?

დროა გავათავოთ. გვაგონდება იგავი ერთ ცელქზე, რომელიც ხშირათ ატყუებდა სოფელს მგლები შემოგვესიაო, და, როცა მართლა შემოესია, არავინ

დაუჯერა. ასევე ითქმის გაზაფხულის ხმებზე, ისინი არ მართლდებოდა, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს არ გამართლდება, და საშიშია ჩვენც იმ სოფლებივით არ დავემართოს: ამბებმა აქეთ არ გვძლიოს იმის მაგიერ რომ იქით ვსძლიოთ.

ეს რომ არ მოგვივიდეს, ყველანი თავიანთ სადარაჯოზედ უნდა იდგენ, სიფხიზლეს არ უნდა უკლონ, ინტენსიურათ უნდა ემზადონ მოწოლილ ამბებისთვის. არარუს ერთა როლი დიდია, მათ მოუხდებათ სწორეთ პირველი ბრძოლების მიცემა მტრისათვის, არიან კი ამისათვის მზათ?

სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კავკასიას. ნუ დაივიწყებთ, ის ისევე მთლიანათ არის წარმოდგენილი უცხოეთის თვალში, როგორც არის სინამდვილეში ეკონომიურ-პოლიტიკურათ. ამიტომ მას უთუოთ გაუჩნდება არა ერთი დამხმარე საზღვარგარეთ, თუ შესძლო ფაქტების, გადამჭრელ ფაქტების შექმნა.

ამას კი მაშინ შეიძლება კავკასია, თუ ოთხივე ერთი, მათი მებრძოლი ორგანიზაციები მჭიდროთ დაკავშირებულია, თუ მათ ექნათ საერთო ხელმძღვანელობა, თუ გაუჩნდათ თავდადებულნი და შორსმჭვრეტელნი კავკასიის პატრიოტნი.

ვინ უნდა მისცეს ეს ბელადნი კავკასიას? ვიმედოვნებთ, გმირმა ქართველმა ერმა! ის არის კავკასიის ცენტრში არა მარტო გეოგრაფიულათ, ინტელექტუალურათ, პოლიტიკურათ,—არამედ მთელი თავისი წარსულით, ტრადიციებით, გამოცდილებით. ის იყო და დარჩა კავკასიის ერთა შემეაერთებელ ხილად.

ბოლშევიკური სკოლა და კულტურული საქმიანობა

(წერილი საქართველოდან)

ბოლშევიკური ტირანიის მთავარ და დამახასიათებელ თვისებას ის წარმოადგენს, რომ მან მოახდინა არა მარტო ქონების ექსპროპრიაცია, არამედ მიითვისა, მისიკუთრა ადამიანის საუკეთესო იდეები, შერყვნა და ტალახში ამოავლო. ყოველ საუკეთესო იდეას ბოლშევიკები მფარველად ამოუდგენ და იგი გაატარეს ცხოვრებაში, მაგრამ როგორ? აი საკითხი, რომელიც უნდა დაისვას ყოველი შეგნებული მოაზროვნის წინაშე.

რომ ბოლშევიკებს ჰკითხოთ, ისინი ახორციელებენ სიტყვის თავისუფლებას. პრაქტიკულად კი მაშინ მხოლოდ, თუ სიტყვა მიმართული იქნება სტალინის დიქტატურის ქება-დიდების გამოსახატავად. კრების თავისუფლებაა მაშინ, თუ იგი საგანგებოდ მოწვეულია ბოლშევიკების მიერ წინასწარ დამზადებულ რეზოლიუციის გასატარებლად ან მცხოვრებ-

თა გასატყავებლად რესურსების თუ პროდუქტების დაგროვების სახით. არის ბეჭდვის თავისუფლებაც, თუ იგი ემსახურება ბოლშევიკური მტაცებლობის გამართლებას და ყველა იმათ გინებას, ვინც ბოლშევიკურ ჯოჯოხეთს სწორად აფასებს და მის წინააზრდას იბრძვის. დიდებული პრინციპი ძმობა, ერთობა, თავისუფლება საბოლოოდ დაივიწყეს და ადამიანის აზრი შავ რეაქციის დროს თუ მიწის ზევით აგებულ ციხეებში ისჯებოდა,—დღეს ციხეებისათვის გათხარეს მიწა და სამ სართულიან შენობებს აგებენ მიწის ქვეშ პოლიტ-პატიმრებისათვის.

ბოლშევიკებს არც ერთი იდეა არ დარჩათ შეურყვნელი და შეუღალავი, და თვით სოციალიზმის იდეა კარიკატურულ სოციალიზმად მოუვლინეს საზოგადოებას.

ბოლშევიკები რის ბოლშევიკებია, თუ კი სკო-

ლასაც ბოლშევიკურად არ მოექცეოდნენ. სკოლა და კულტურული საქმიანობა არას დროს არ ყოფილა საქართველოში ისეთი კონტროლის ქვეშ, როგორც ეს ბოლშევიკების დროს არის. როგორია მაინც ბოლშევიკების კულტურული სავანმანათლებლო მუშაობა?

ამ საკითხის ნათელსაყოფად გავითვალისწინოთ ყოველი დარგი კულტურული ცხოვრების და შევადგათ ობიექტიურად.

თანამედროვე სკოლები:

ერთის მიხედვით საკვირველია: რად ზრუნავს სკოლებისათვის ის ხალხი, რომლებიც ბარბაროსებისაგან არაფრით განირჩევიან? რათ ზრუნავს კულტურაზე ის ხალხი, რომლებმაც დედამიწის ერთი მეექვსედი ჩამოსჭრეს კულტურული კაცობრიობიდან და ცეცხლით და მახვილით იცავენ თავიანთ უვიცობას? საკითხთან ახლო მისვლით ჩვენ დავინახავთ, რომ აქ ახალი არაფერია. ბოლშევიკებმა ძალიან კარგად იციან, რომ თუ ადამიანი დამოუკიდებელია თავის აზროვნებაში და სწორად განსჯის არსებულს, ის რა გინდ უვიცი იყოს, მაინც დაგმობს ისტორიაში არა ნახულ ტირანიას და გვერდში ამუდგება იმ ძალებს, რომელიც ამ ტირანიის წინამძღვრ არის მიმართული.

აუცილებელი შეიქნა ახალგაზდობის გარდაქმნა, ისე, რომ მისგან მიიღონ ბოლშევიკური ტირანიის მსახურნი.

საუბირო შეიქნა ადამიანთა ისეთი ტიპების ხელოვნური შექმნა, რომლებიც მსგავსი ჯერ არ აღზდილა არც ერთი დარგის სკოლის მიერ. ბოლშევიკური სკოლა ბავშვს ყოველ დღე და ყოველ მომენტში ჩასჩინებს:—«ბოლშევიკების და სტალინის ქებითა, ხალხის დაბეჭდვითა და ჯაშუშობითა მოიპოვე ავტორიტეტი შენი».

ადვილი არ იყო ამ საქმის მოგვარება, ბოლშევიკებს არ შეეძლოთ ეს ადვილად და მათ გამოიყენეს ფართოდ სკოლა. თანამედროვე სკოლა არის ის ქარხანა, რომელმაც ბავშვში უნდა მოკლას დამოუკიდებელი მოაზროვნე და მოგვცეს უბრალო «ვინტები». ბოლშევიკური მექანიზმის გასამარებლად; ამ მექანიზმის მემქნანეთ ითვლება სტალინი და მისი კამპანია, რომლებიც მიაქანებენ ამ მანქანას მთელი პასაჟირებით უფსკრულსაკენ.

ამ მიზანს ემსახურება ბოლშევიკური სკოლის ყოველი ტიპი. განვიხილოთ ეს ტიპები.

1. ოთხწლიანი:

მასიურ სკოლების გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს 4 წლიანი. მართალია, დვას საკითხი სკოლის ასაკამდე აღზრდის შესახებ, მაგრამ ამ მხრივ ისეთი ნაბიჯია გადადგმული, რომ მასზე შეჩერება არ ღირს. საბავშვო კერები და საბავშვო ბავები თუ ბალები მოსახლეობის მოთხოვნების 50 პროცენტსაც ვერ აკმაყოფილებს. ასეთი ტიპის დაწესებულებები მხოლოდ ქალაქში გვაქვს და ისიც ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. მასიური სკოლები ჩვენში ოთხწლიანები და ამიტომ ამაზე შევჩერდებით.

ოთხწლიანების რიცხვი ამ უამად საკმაოდ მოგვეპოვება. ოთხწლიანების გახსნას ხელისუფლება ერთგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევს. სკოლას იმიტომ კი არ ხსნი, რომ იგი ზრუნავს მოსახლეობის სწავლა-განათლებისათვის, არა! მას ოთხწლიანების რიცხვის გაზრდით სურს ორი რამის გაკეთება:

1) ახალგაზდობის გადახარშვა ბოლშევიკურ ემბაზში, და 2) პუნქტის ჩამოყალიბება, რადგანაც იგი მის პოლიტიკას ავრცელებს მოსახლეობაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლას იგი იყენებს ყოველგვარად, არ უწევს ანგარიშს არც სკოლის აკადემიურ მუშაობას და მოთხოვნებს და არც ბავშვის ფიზიკურ შესაძლებლობას. სკოლას ავალეებს ფობიაციის გასაღებას, უშვალოდ ყიდვით მოწაფთა მიერ, და მასსახლეობაზედ ზეგავლენას, რომ ხალხმა ობლიგაცია შეიძინოს, სხვადასხვა გადასახადები შემოიტანოს, საქონელი (პირუტყვები) ჩააბაროს ხელისუფლებას, შევიდნენ კოლმეურნეობაში, მიიღონ ხელისუფლების გამოწვევები და სხვა. სკოლაზე კონტროლი მხოლოდ ამ მხრივ არის, როდესაც ინსპექტორები მიდიან, არავე კითხულობს ნამდვილ სასკოლო მუშაობას და ბავშთა აკადემიურ წარმატებას. ბოლშევიკები ამყობენ მით, რომ მათ შემოიღეს ოთხწლიანის ფარგლებში საყოველთაო სავალდებულო სწავლა. ეს სრულიად ბუნებრივი იყო, სხვა გვარად ბოლშევიკებს არც შეუძლიათ ბატონობა, თუ ახალთაობას ბოლშევიკური «ნიკოტინი» არ ჩააწვეთეს. რა უჯდება ბოლშევიკებს ოთხწლიანი და როგორ უზრუნველ ყოფენ მას აკადემიური პირობებით? ოთხწლიანებს არა აქვთ შენობები, ერთ ოთახში ხშირად 3-4 ჯგუფი მუშაობს, თუ ეს ერთი ოთახიც არ იშოვება და ხალხს აშენების დრო არა აქვს მათი სხვა სამუშაოზე გარეკვის გამო, მაშინ მიმართავენ თავისებურ მტაცებელურ ხერხს—მონათლავენ რომელიმე «ურჩა» გლეხს კულაკის სახელით და მისი სახელიც მიაქვთ სკოლის შენობისათვის. ამ ხერხს ავალეებდნენ კომისარიატს, ხოლო კომისარიატი ცხოვრებაში ატარებინებდნენ ამას თვით ხალხს. განათლების კომისარიატი არაფერს აძლევს სკოლას. ხელისუფლება სრულიად უმნიშვნელო თანხას შეიტანს ბიუჯეტში სკოლის ხარჯებისათვის და არც იმას აძლევს სხვადასხვა მოსახრებით. ხდება ყუთების ჩამოტარება სკოლების კვირეული, ათ დღიური, ორ თვიური და ყველა ეს ემსახურება არა სკოლებს, არამედ ფულის შემკრებთ. შეგროვებული ფული არავე იცის სად იხარჯება. ვინ იქნება რომ გაბედოს და იკითხოს, სად არის ან რა იქნა ჩვენი ფული. ერთად ერთი, რისთვისაც თანხის გაღება უხდება ხელისუფლებას, ეს არის მასწავლებელთა ხელფასი. ბოლშევიკები სრულიად ურცხვად აცხადებენ, რომ გასულ წელთან შედარებით ხელფასი გაიზარდა.

განვიხილოთ ამ მხრივ მდგომარეობა. 1929-30 წელთან შედარებით მასწავლებელთა ხელფასი 1930-31 წლებში გაიზარდა 37,4 პროცენტით. მაგრამ ფულის კურსი თვით საბჭოთა კოოპერაციაშიც კი დაეცა 100-150 პროცენტით, ხოლო კერძო ბაზარზე სრულიად უნუგეშო მდგომარეობა შეიქნა, ფასები არ გადიდებულა მხოლოდ ასანთზე და მა-



რილზე, დანარჩენი კი სულ ზევით და ზევით იწვედა. რკინის გზამ კი ამ ხნის განმავლობაში 75 პროც. გააღიდა გადაყვანის ფასები. თუ ამას მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ვნახავთ, რომ მასწავლებლის ხელფასი კი არ გადიოდა, არამედ შემცირდა 150 პროცენტით. ესლა სოფლის მასწავლებელი ღებულობს 75 მან. გარდა ამისა მასწავლებელი ხომ აუცილებლად უნდა შევიდეს კოლმეურნეობაში. თუ რაიმე ქონდა მასწავლებელს, კოლექტივს ჩააბარა, ხოლო თითონ იქიდან ვერაფერს მიიღებს, რადგან მოსავალი თუ რაიმე დაუტოვა მთავრობამ კოლექტივს, შრომის მიხედვით ნაწილდება. თუ რაიმე ქონება ქონდა, იმის კონფისკაცია, 75 მანეთი თვეში და ამ ფულით იგი ხშირად ორ ჯგუფს ასწავლის. აი ასე უზრუნველყოფილია თვით მასწავლებელი.

როგორია ოთხწლედის მომარაგება სასწავლო ინვენტარებით? ამის სურათს გადაგიშლით ყველა სკოლა სოფლის. რომელშიდაც არ უნდა შეხვიდით. ხელისუფლება არ ზრუნავს არაფრისთვის. მასწავლებელი იძულებულია გამოიწვიოს ხელოსანი გლეხები და დაამზადებინოს სასწავლო ინვენტარი. ასეთ პირობებში დამზადებული ინვენტარი სრულიად შეუსაბამოა ბავშვის აგებულობისთვის; მაგრამ არა-რაობას ცხადია მასწავლებელი ამას ამჯობინებს. სკოლას არა აქვს რვეულები, რადგანაც ბაზარზე არ იშოვება, ხოლო ნორმის მიხედვით კი სკოლას ცოტა ხვდება.

როგორია სახელმძღვანელოების საკითხი? ცხოვრება იცვლება. სახელმძღვანელოებიც უნდა იცვლებოდეს. აცხადებენ ბოლშევიკები და წელს გამოცემული სახელმძღვანელოები მომავალ წელს უკვე აღარ ვარგა.

ამ სახელმძღვანელოებში ლაპარაკია შემდეგ საკითხებზე: ლენინი, სტალინი, კომპარტია, ოქტომბერი, კულაკი და კოლექტივიზაცია. არავითარი ანგარიში ბავშვის თავისებურობისთვის აქ არაა სჩანს, აქ ბრძოლაა გამოცხადებული ბავშვის სათუთ გრძნობების და განების წინააღმდეგ.

«ბავშვის სული არის დაუწერელი დაფა», ამბობდა რუსო და ამ წმინდა დაფაზე ბოლშევიკები ჯღაბნიან თავის უწმინდურის ხელით. უბედურება იმაშია, რომ ახალგაზღვრების გადაგვარებაში იყენებენ თვით მასწავლებელსაც. მასწავლებელი ყველა ამას გრძნობს, მაგრამ იგი უნებლიეთ აღმასრულებელი ხდება ბოლშევიკების ბრძანების.

ბოლშევიკებს ძალიან ახასიათებს მიბაძვა, ისინი ამ მხრივ მოვგავიწყებენ ბალს. რომელიც უბრალო ჯოხებისაგან ან სიმინდის ტაროს გულისაგან ხუხულას აშენებს და ფიქრობს კომკს ვაგებო.

ბაძავენ ბოლშევიკები კულტურულ ევროპას, მაგრამ ბაძავენ ისე, როგორც ბავში კალატონს—მიმუნნი ადამიანს. ვადმოიღეს ახალი მეთოდები, მაგრამ ეს ტარდება არა ისე, როგორც ამერიკასა და ევროპაში, არამედ მეტად თავისებურად, წმინდა ბოლშევიკურად.

ხეზოდ ხსენებულ პირობებს ემატება კიდევ ის, რომ ამ პატარა ბავშებს იყენებენ ფიზიკურ სამუშაოზე. ყოველ ოთხწლედს აქვს საკმაოდ ფართოდ და-

სამუშაოებელი ნაკვეთი, რომელზედაც ბავშებს მუდმივ ამუშაოებენ. ოთხწლედი ვალდებულია დახმარება გაუწიოს ფიზიკური სამუშაოთი კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას და სხვა. მასწავლებელი კი დღეს გადასახადებს კრფებს, ხვალ ობლიგაციებს ასაღებს, ზეგ კრებებს ატარებს და სკოლაში სამუშაოდ ხშირად არა სცალიან. არის შემთხვევა, როცა მასწავლებლებს თვეობით ხსნიან სამუშაოდან და აგზავნიან სხვადასხვა კამპანიების ჩასატარებლად: პურის დამზადების, თანხების მობილიზაციის და სხვა. მუშაობის ასეთი პირობები და ბავშვის სიტუაციის გამო სამეცადინო დღეების ხშირი გაცდენა, სრულიად ამცირებს სამუშაოდ დროს და შედეგიც უარყოფითი გვაქვს. პროგრამაში ზოგჯერ მართალია შეტანილია დიდი მასალა, მაგრამ ამ მასალის ოთხმეხუთედის დამუშაობას სკოლების 15 პროცენტით კი ვერ შესძლებს.

რას სთხოვენ უმთავრესად ბავშვს?

მან უნდა იცოდეს ლაპარაკი, მთავრობის ქებადიდება და მტრების პირწავარდნილი გინება; უნდა უჯაშუშოს მშობლებსაც კი, თუ ამას ხელისუფლების ინტერესები მოითხოვს. ასეთია ბოლშევიკური მორალი. მოსთხოვენ ბავშვს მოხსენების გაკეთება ლენინის ან ოქტომბრის შესახებ—იგი მოხსენებას გაგიკეთებთ ვრცელს, მაგრამ ოთხწლედ დამთავრებულმა არ იცის 6×7 რამდენია, კითხულობს ბორძიკით და სწერს ისე, რომ მის დანაწერს თითონ ვერ არჩევს.

(შემდეგი იქნება)

კონფედერაციაში შესულ

სახელმწიფოთა სუვერენობა

ჩემი წინა წერილი საერთოდ კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტის ზოგადი განხილვა იყო მხოლოდ. აღვნიშნე ამ პროექტის მთავარი ხაზები, მისი საზოგადო ორიენტაცია და მიდრეკილება. დასკვნა ის იყო, რომ ჩვენს წინაშე წარმოდგენილია სახელმწიფოთა კონფედერაცია, ე. ი. სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო შეკავშირება.

დღეს კი მინდა უფრო დაწვრილებით განვიხილო კავკასიის პროექტის კონსტიტუციური შედეგნილობა; საჭიროა გარკვევა თითოეული მუხლისა, ანუ უკეთ დოკუმენტის ყოველი სახისა, იმ დოკუმენტის, რომელიც, მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა, შეიცავს დადებითს ღირსებას. როგორც ვსთქვი, ეს პროექტი ამყარებს სუვერენულ სახელმწიფოების შეკავშირებას. და ამას ადასტურებს პირველი მუხლი, სადაც ნათქვამია. რომ სახელმწიფოებს წევრებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი სუვერენობა სრულად და მთლიანად და განახორციელებენ ყველა უფლებას, რომელიც გარკვევით და გამორიცხვითი წესით არაა გადაცემული საკონფედერაციო ძალაუფლების ორგანოებისთვის. აუცილებელია ყოველის უწინარეს გარკვევა კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა

სუვერენობის, თუ რაში მდგომარეობს იგი, და რა შედეგებს იწვევს.

მაშ რაა სახელმწიფოს სუვერენობა? რა ახასიათებს საერთოდ სუვერენობას? ამბობენ, რომ საზოგადოებრივ უფლებებაში არაა სხვა ისეთი რთული საკითხი, როგორცაა სუვერენობის. მას შემდეგ რაც საკითხი აღიძრა, არ არსებობს ახრთა თანხმობა სუვერენობის შემეცნების შესახებ. ბევრს არევიდარევას ჰქონდა ადგილი, რამაც საგანი უფრო დააბნელა. ბოლო დროს ცოტაოდენი იმედი გამოჩნდა, რომ იურისტები შეთანხმდენ სუვერენობის სინამდვილის განსაზღვრისათვის.

არ შემიძლია აქ ვრცლად შევხვო სუვერენობის საკითხს, ხოლო მოკლედ გავაშუქებ. რადგან ვერავინ გაიგებს კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა იურიდიულ მდგომარეობას, თუ ნათლად არა აქვს წარმოდგენილი სუვერენობა, რაიც სახელმწიფოს უმთავრესი ელემენტია.

სუვერენობის მცნება შემუშავდა საფრანგეთში მეფის ძალაუფლების ბრძოლის დროს გარეთ ეკლესიისა და იმპერატორის წინააღმდეგ და შიგნით ფეოდალების წინააღმდეგ. ეს მცნება წმინდა ფრანგულია, იგი გაარკვიეს ფრანგმა იურისტებმა მეფის ძალაუფლების განსამტკიცებლად პირისპირ უცხოეთისა და ფეოდალებისა. და როცა საშუალო საუკუნეების დასასრულს (16 და 17 საუკ.) მეფე გახდა ყოვლად ძლიერი, იგი გამოცხადდა სუვერენად, ე. ი. დამოუკიდებლად როგორც გარედან ისე შიგნით. იგი იყო ხელმწიფება, რომელსაც არ შეზღუდავდა სხვა ხელმწიფება—ეკლესიის, იმპერატორის, უცხო სახელმწიფოს, არც სხვა ვისიმე მის სამეფოს საზღვრებში. ამგვარად სუვერენობა შეიქნა სახელმწიფოს თვისებად, რომელსაც ზღუდავს მარტო საკუთარი ნებისყოფა, რომელიც თავისუფლად ირჩევს თავის მოქმედების საგანს და რომელსაც რაიმე ვალდებულება შეიძლება დაეკისროს მხოლოდ მისივე თანხმობით. სუვერენობა ნიშნავდა უაღრესობას, ყოვლის შემძობობობას, აბსოლუტურ ძალაუფლებას.

ხოლო ასეთ სუვერენობას, როგორც უმაღლეს ძალაუფლების თვისებას, აღარ შეეძლო არსებობა მას შემდეგ, რაც გაჩნდა საერთაშორისო ერთობა და საერთაშორისო უფლება მოწოდებულ იქნა მის განსარიგებლად, რადგან საზოგადოება როგორც საერთაშორისო ისე შინაგანი ჰგულისხმობს წევრთა უფლებების შეზღუდვას საერთო ერთეულის სასარგებლოდ. უამისოდ ვერც ერთი საზოგადოება ვერ იარსებებს. ამკარაა, რაკი დაიბადა სახელმწიფოთა საზოგადოება, შეუძლებელია სახელმწიფოთა დარჩენი აბსოლუტურად თავისუფალი, ე. ი. სუვერენული. სახელმწიფოთა აბსოლუტურმა თავისუფლებამ მიიღო შედარებითი თავისუფლების სახე. სახელმწიფოებს შეუძლიათ იმოქმედონ მხოლოდ საერთაშორისო უფლების ფარგლებში.

აქედან წარმოსდგა სუვერენობის მცნების შეცვლა. დღეს სუვერენული სახელმწიფოა ის, რომელიც დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფოსაგან, მაგრამ დამოკიდებულია საერთაშორისო უფლებისაგან. სუვერენობა ექვემდებარება პირდაპირ საერთაშო-

რისო უფლებას და აბსოლუტური და შეუზღუდველი სუვერენობა დღეს გახდა შედარებითი და შეზღუდული.

როდესაც ჩვენი პროექტის პირველი მუხლი აცხადებს, რომ წევრებს სახელმწიფოებს შენარჩუნებული აქვთ თავიანი სუვერენობა სრულად და მთლიანად, ეს იმას არ ჰგულისხმობს, რომ მათ ყველაფრის უფლება აქვთ, არამედ იმას ამბობს, რომ მიუხედავად კონფედერაციის ხელშეკრულობისა ამ სახელმწიფოებს პირდაპირი დამოკიდებულება რჩება საერთაშორისო უფლებათთან. ხოლო ამ უკანასკნელის უმთავრესი პრინციპი ისაა, რომ ხელშეკრულებანი უნდა იქნეს წმინდად დაცული და მათი შეცვლა შეიძლება მხოლოდ ერთმად. კავკასიის კონფედერაციის წევრები უპირველესად ექვემდებარებიან საერთაშორისო უფლების წესებს და შემდეგ კი კონფედერაციის კერძო წესებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მდგომარეობას განსაზღვრავს ორივე ეს უფლება.

ამ გვარად ჩვენ გავარკვიეთ კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენობის არსება. ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ ეს არ აძლევს ნებას სახელმწიფოებს აწარმოვონ თავისი ეროვნული პოლიტიკა თავისუფლად და უკანტროლოთ. ეს პოლიტიკა უნდა დაემორჩილოს კონფედერაციის საერთო მიზანს, რომელიც დაუსახავს ხელშეკრულებას.

რა შედეგები წარმოსდგება სახელმწიფოს სუვერენულ ბუნებისაგან? ერთი პირველთაგანი და მნიშვნელოვანი ისაა, რომ კონფედერაციის ხელშეკრულობით დადებულს საზღვრებს უნდა შეზღუდული განმარტება მიეცეს. კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენული უფლება შემცირებულია იმ ფარგალში, რომელიც თვით მათ დააწესეს. არავის შეუძლია დაადგას მათ ახალი შეზღუდვა, თუ თვითონ ისინი ამის თანხმობას არ გამოაცხადებენ. ხოლო აქ საჭიროა ცოტაოდენი განმარტება: კონფედერაციისათვის დათმობილი უფლება შეიცავს აგრეთვე დამატებით იმასაც, რაკი საჭიროა ამ უფლების განსახორციელებლად; ამას უწოდებენ ნაუფლისხმევ უფლებას, რასაც ჩვენ განვიხილავთ, როდესაც ვილაპარაკებთ კონფედერაციის და წევრ სახელმწიფოების სახელოთა შესახებ.

დავასურათთ კონკრეტულ მაგალითით ჩვენი აზრი, რომ კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენულ უფლებათა შემცირებას შეზღუდვითი განმარტება უნდა მიეცეს. პროექტის მესამე მუხლი უკრძალავს კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებს შეკრან ერთმანეთს შორის ყოველი კავშირი და ყოველი პოლიტიკური ხელშეკრულობა. მაშასადამე ხელშეკრულობის პირობათა შეზღუდვითი განმარტების თანახმად, სხვა ყოველივე ხელშეკრულობა ნებადართულია წევრ სახელმწიფოებისათვის. შეუძლებელია მათ აეკრძალოთ კომერციული, ტრანზიტის, ემიგრაციის და სხვა ამგვარი შეთანხმებანი. ამ საგანს კიდევ დაუბრუნდებით ქვემოთ.

მეორე დიდი შედეგი კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა სუვერენულ ბუნების მდგომარეობს იმაში, რომ კონფედერაციას არ აქვს უფლება ჩაე-



როს წევრ სახელმწიფოების შინაურ საქმეებში. ისინი მართავენ თავიანთ საქმეებს თავისუფლად. როგორც წესი წესობილება სურთ, ისეთს დაამყარებენ. თუმცა პრაქტიკულად უკანასკნელის შესრულება საუკეთესოა: ძნელია რომ დემოკრატიული სახელმწიფო შეუკავშირდეს ისეთ სახელმწიფოს, სადაც დიქტატორი ბატონობს ან აბსოლუტური მონარქი. ასეთ შემთხვევაში შეკავშირება უძლეური იქნებოდა. მაგრამ რაც პრაქტიკულად შეუძლებელია, იურიდიულად მაინც დასაშვებია.

კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებს სრული უფლება აქვთ თავის გემოვნებაზე მოაწყონ თავისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები და სასამართლო, უნდათ ერთპალატიან პარლამენტს დააწესებენ, უნდათ ორპალატიანს. შეუძლიათ უპირატესობა მიაკუთვონ პარლამენტს თუ პრეზიდენტს და სხ. ასევე თავისუფალნი არიან ადმინისტრაციულ აპარატის მოწყობაში—უნდათ ცენტრალისტურ, უნდათ დეცენტრალისტურის. ერთი სიტყვით შინაურ მართვლობის სრული თავისუფლება ეკუთვნით.

რაც ვსთქვით კონფედერაციაზე. კიდევ უფრო მეტად ითქმის კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებზე. არც ერთს მათგანს არ შეუძლია ჩაერიოს მეორეს საქმეებში, რადგან ყველანი თანასწორნი არიან და ექვემდებარებიან მარტოოდენ საერთაშორისო უფლებას. თვითელი მათგანი ვალდებულია წმიდად დაიცვას სხვების დამოუკიდებლობა. ყოველი უთანხმოება, რომელიც შეიძლება დაიბადოს ამის გამო, უნდა გადაეცეს კონფედერაციის სასამართლოს.

მესამე შედეგი ეხება კონსტიტუციის (გზარობთ აქ ამ სიტყვას ფართო მნიშვნელობით) გადასინჯვას. გამოსვლის უფლებას და პაქტის გაუქმებას, მაგრამ ეს განხილული იქნება ცალკე, რადგან ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ვიტყვით აქ მხოლოდ, რომ ხელშეკრულების შეცვლა შესაძლებელია ყველა კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა თანხმობით (მუხ. 16).

ასეთია კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოების სუვერენობის პრინციპიალური შედეგები. როგორც დავინახეთ, მათი მდგომარეობა რთულია, რადი წარმოსდგება იქიდან, რომ ისინი პირდაპირ ექვემდებარებიან საერთაშორისო უფლებას და ამავე დროს არიან წევრები სახელმწიფოთა კავშირის. ეს იწვევს მათი სუვერენობის ორგვარ შემოფარგვლას—ერთი მხრით საერთაშორისო უფლების საერთო წესებით და მეორე მხრით კონფედერაციის ხელშეკრულების წესებით. იბადება საკითხი, თუ კონფლიქტის დროს რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა—საერთაშორისო უფლების საერთო წესებს თუ ხელშეკრულების კერძო წესებს? უეჭველად ყოველის უწინარეს უნდა მივმართოთ უკანასკნელთ იმ მოსახრებით, რომ კერძო კანონს ყოველთვის უპირატესობა ეკუთვნის წინაშე საზოგადო კანონისა. საერთო წესით სუვერენულ სახელმწიფოებს უფლება აქვთ მიიღონ და წარგზავნონ დიპლომატიური წარმომადგენელნი, მაგრამ კავკასიის კონფედერაციის

პაქტის ძალით ეს უფლება აღარ ეკუთვნის კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოებს, არამედ გამოირცხვითი წესით გადაცემულია კონფედერაციისათვის. ესეე ითქმის ამის გამოცხადების უფლებაზედაც. ხოლო ის ვარემოება, რომ კონფედერაციაში შესული სახელმწიფოები უარს ამბობენ თავის ზოგიერთ სუვერენულ უფლების განხორციელებაზე, არ ართმევს მათ სახელმწიფოებრივ კოლექტივის ღირსებას, რადგან ეს უარყოფა წარმოსდგება მათი საკუთარი ნებისყოფისაგან და არ შეიძლება მისი გაფართოვება, თუ არა მათივე ფორმალური თანხმობით.

მის, მუხნგლიძე.

კავკასიის კონფედერაციის კაპიტისათვის

«დამოუკიდებელი საქართველოს» მე-74 ნომერში მოთავსებულია საქართველოს ეროვნულ ცენტრის მიერ შემუშავებული პროექტი კავკასიის კონფედერაციის პაქტისა და განმარტებითი წერილი ამ პროექტისათვის. წერილი რედაქცია სხვათა შორის აცხადებს, რომ მოათავსებს მკითხველთა წერილებს ამ პროექტის შესახებ, და ჩვენი გვსურს ეს წინადადება ვისარგებლოთ. ჩვენ არ შეგვიძლია პროექტის დეტალური გარჩევა, ჩვენ გვინტერესებს განსაკუთრებით საქმის ფორმალური მხარე და არსებითად ვეხებით პროექტს იმდენად, რამდენად ეს საჭიროდ მიგვაჩნია სწორედ ამ ფორმალურ მხარის გასაშუქებლად.

პროექტს ეწოდება კონფედერაციის პროექტი. ავტორნი განმარტებითი წერილში ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ისინი კონფედერაციისაკენ და არა ფედერაციისაკენ მიილტვიან, მაშასადამე ხმარობენ ცნებას კონფედერაციის თავის განსაკუთრებულ, ფედერაციისაგან განსხვავებულ, მნიშვნელობით. მაგრამ პროექტიდან ნათლად სჩანს, რომ მის ავტორებს არ აქვთ საკმარისად გათვალისწინებული ბუნება კონფედერაციისა და მისი განსხვავება ფედერაციისაგან. კონფედერაციაში ისე, როგორც ფედერაციაში ცენტრალურ ორგანოს ხელში გადადის ესა თუ ის დარგი სახელმწიფოებრივ პოლიტიკის, მაგრამ იმ განსხვავებით რომ კონფედერაციაში ეს გამოყოფილი დარგი წარმოდგენს როგორც საგანს კონფედერაციის პოლიტიკისას, აგრეთვე კონფედერატულ ერთეულისას, ვინაიდან ყოველი დადგენილება კონფედერაციისა ძალაში შედის მხოლოდ შემდეგ იმისა, როდესაც ეს დადგენილება იქნება გარჩეული და მიღებული კონფედერაციის შემადგენელ ერთეულების მიერ, თანახმად მათში არსებულ კონსტიტუციისა. მხოლოდ თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ თვით კონსტიტუცია ამ ერთეულების დემოკრატიულია, კონფედერაცია სრულიად ხელუხლებლად სტოვებს როგორც სუვერენიტეტს სახელმწიფოებისას, აგრეთვე სუვერენიტეტს ერისას სახელმწიფოში. ფედერაცია კი აუქმებს კომპეტენციას ფედერატულ ერთეულისას იმ დარგში, რომელიც გამოყოფილია, როგორც საგანი ცენტრალურ ფედერალურ ხელისუ-

ფლების პოლიტიკის. გადაწყვეტილება ცენტრალურ ფედერალურ ორგანოების ამ დარგში სრულებით არ მოითხოვს ფედერატულ ერთეულის მიერ მიღებას. თუ ვიგულისხმებთ, რომ კონსტიტუცია ფედერაციისა და ფედერატულ ერთეულების დემოკრატიულია, ფედერაცია ზღუდავს სუვერენიტეტს ერთეულისას. მაგრამ ის ხელუხლებლად სტოვებს სუვერენიტეტს ხალხისას, უკანასკნელი მის მიერ არჩეულ წარმომადგენლების მეოხებით კანონმდებლობს როგორც შემადგენელ ერთეულში აგრეთვე თვით კავშირში-დაც და კონტროლს უწყებს აღმასრულებელ ორგანოთა მოქმედებას. მაშასადამე კონფედერაცია ამყარებს სახელმწიფოთა კოლაპერაციას, თანამშრომლობას, ფედერაცია კი ქმნის სახელმწიფოთა სახელმწიფოს, ზე სახელმწიფოს. შესაძლებელია კავკასიის ერები დაუკავშირდნენ ერთმანეთს კონფედერაციის გზით ან ფედერაციის გზით, მაგრამ ყოველ შემთხვევაში უნდა იქნას დაცული ბუნება კავშირის იმ ფორმისა, რომელიც იქნება მათ მიერ შექმნილი. დაუშვებელია, ერთი ფორმის ბუნება იქნას მეორე ფორმის ბუნებაში არეული. პროექტი კი, რომელზედაც ჩვენ გვაქვს მკითხველთან საუბარი, სჩადის სწორედ ამ შეცდომას.

პროექტის პირველი მუხლი ამბობს:

სახელმწიფოებს წევრებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი სუვერენობა სრულიად და მთლიანად და განახორციელებენ ყველა უფლებას, რამელიც გარკვევით და გამორიგებითი წესით არაა გადაცემული საკონფედერაციო ძალაუფლების ორგანოებისათვის (ხაზი ჩვენია. ვ.ე.). ამ რიგად, მაშასადამე არის ისეთი დარგი, რომელიც არ შეადგენს წევრ სახელმწიფოთა კონპეტენციას და შეადგენს მხოლოდ და მხოლოდ საკონფედერაციო ძალაუფლების კონპეტენციას. თუ ეს ასეა, მაშ რა შუაშია აქ კონფედერაცია? ერთის მხრივ «სახელმწიფოებს წევრებს შენარჩუნებული აქვთ თავიანთი სუვერენობა სრულიად და მთლიანად», ესე იგი მათი სუვერენიტეტი არის აბსოლუტური, მეორეს მხრივ ისინი «განახორციელებენ ყველა უფლებას, რომელიც გარკვევით და გამორიცხებითი წესით არაა გადაცემული საკონფედერაციო ძალაუფლების ორგანოებისათვის», ესე იგი მათი სუვერენიტეტი არის არა აბსოლუტური, არამედ რელატური, ერთის მხრივ მაშასადამე გვაქვს კონფედერაცია, მეორეს მხრივ ფედერაცია. ჩვენ სრულებით არ ვართ ერის აბსოლუტურ სუვერენიტეტის თაყვანისმცემელი, ფედერაციის წინამდებ არაფერი გვაქვს. წინამდებია ვართ მხოლოდ იმისა, რომ კონფედერაციაში იქმნას ფედერაციის ელემენტები შეტანილი, ჩვენ ვართ წინამდებია იმისა, რომ ღვინო, რომელსაც ფედერაცია ეწოდება, ისეთ გუდაში იქმნას ჩასხმული, რომელსაც კონფედერაცია ეწოდება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უქმდება სახელმწიფოებრივ პოლიტიკის ზოგიერთ დარგში ერის სუვერენიტეტი, დემოკრატიის მაგვარად მყარდება ავტოკრატია. ასეთ შეცდომას სჩადიან კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტის ავტორები.

პროექტის მეორე მუხლშია ჩამოთვლილი ყველა ის «უფლებანი», რომელიც «გარკვევით და გამორი-

ცხებით წესით» საკონფედერაციო ძალაუფლების ორგანოებისათვის არის გადაცემული. მასში ნათქვამია: «მხოლოდ კონფედერაციას აქვს უფლება გამოაცხადოს ომი, შეკრას კავშირები და დასდევს სამშვიდობო და საბაჟო ხელშეკრულებანი».

კონფედერაციის უზენაეს ორგანოს კი წარმოადგენს სახელმწიფო საბჭო, რომელიც კონფედერაციაში შესულ სახელმწიფოთა თითოეულ მთავრობის სამ-სამი დელეგატისაგან შედგება.

პროექტის მე-11 მუხლის მე-5 ნაწილში აღნიშნულია ამ მთავრობათა დელეგატებისგან შემდგარ სახელმწიფო საბჭოს კონპეტენცია. მასში ნათქვამია:

«სახელმწიფო საბჭო განიხილავს საქმეთ, რომელიც ამა პაქტის ძალით ეკუთვნის საკონფედერაციო ძალაუფლების სახელს, სახელდობრ მას ეკისრება შემდეგი საქმეები:

- ა) კავშირების შეკვრა, სამშვიდობო და საბაჟო ხელშეკრულებათა დადება.
- ბ) ომის გამოცხადება.
- გ) დამოკიდებულება უცხოეთთან: ელჩების გაგზავნა და მიღება, დანიშვნა მთავარ სარდლისა საკონფედერაციო ჯარისათვის ომის დროს და კონფედერაციის მთავარ მდივნისა.

ე) კონფედერაციის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა. ამრიგად მხოლოდ მთავრობათა დელეგატები სწყვეტავენ ასეთ საკითხებს, როგორც არის საკითხი ომისა და ზავის, სამშვიდობო და საბაჟო ხელშეკრულების. ხალხის წარმომადგენლობას ამ დარგში არავითარი ხმა არ აქვს, ამრიგად აღმასრულებელ ორგანოთა წარმომადგენლობას მეტი უფლება ეძლევა კავკასიის ერთა ბედობლის გადაწყვეტაში, ვინემ თვით მაღალ ღმერთს.

ჩვენ გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება პროექტის ერთ ფრიალ მნიშვნელოვან მხარეს: იგი არავითარ ანგარიშს არ უწყებს იმ რადიკალურ ცვლილებას, რომელიც მსოფლიო ომის შემდეგ საგარეო უფლებებში მოხდა; ისე, როდესაც სახელმწიფონი, რომელნიც ურთიერთ შორის ხელშეკრულებას კრავენ, თვით იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი ერთა ლიგას არ ეკუთვნიან, უდგენენ ამ ხელშეკრულებას აღსანუსხავად ლიგას. მაშასადამე კავკასიის კონფედერაციის პაქტის პროექტი, როდესაც იგი პროექტიდან პაქტით იქცევა, უნდა წარედგინოს ერთა ლიგას. რათა ეს პაქტი არ დარჩეს თანამედროვე საგარეო უფლებების გარეშე. მე აქ არ შევიხები ყველა იმ სიძნელეს, რომელიც წინ გადადობება კავკასიის ერებს კონფედერაციის პაქტის ცუდათ შედგენის გამო. როცა მოისურვებენ ლიგის წევრობას—ვინაიდან საგარეო პოლიტიკას კონფედერაცია აწარმოებს და არა შემადგენელი სახელმწიფოები; კავკასიის ერებს არც ექნებათ უფლება ლიგის წევრობის, ვინაიდან არ ექნებათ უფლება ამის შესახებ შუამდგომლობის აღძვრის. მე მივაქცევ მხოლოდ ერთს სიძნელეს ყურადღებას: თანახმაა პროექტისა კონფედერაციის უფლება აქვს ომის გამოცხადების, მაშასადამე არა მარტო მისთვის გამოცხადებულ ომის მო-



გერების, არამედ სხვისთვის ომის გამოცხადების. ეს კი თანამედროვე საგარეო უფლების ძალით აღკვეთილია, მაშასადამე პაქტი, რომელიც აკუთვნებს კონფედერაციას ომის უფლებას, ვერ წარედგინება ერთა ლიგას აღსანუსხავად და მაშასადამე, თანამედროვე საგარეო უფლების გარეშე უნდა დარჩეს.

ამ ზოგად არსებითი ხასიათის შენიშვნათა შემდეგ გადავდივართ საქმის ფორმალურ, ასე ვსთქვათ, მეთოდოლოგიურ მხარეზე.

კავკასიის ერები დღეს კომუნისტურ რეჟიმის მძიმე უღელს ატარებენ. მაგრამ თუ მსოფლიო ისტორიას არ დაეკარგა თავისი აზრი, ეს რეჟიმი ადრე თუ გვიან უნდა დაეცეს. მაშინ დადგება ფიზიკურად და ეკონომიურად ძალზე დასუსტებულ კავკასიის ერების წინაშე მძიმე პრობლემა თვით ცხოვრების ნორმალურ ნიადაგზე მოწყობის და ურთიერთშორის დამოკიდებულების ჩამოყალიბების. აქ თავს წამოყოფენ ისეთი ამოცანები, რომელთა გადაჭრის ცდას დილექტანტურ გზით საბედისწერო მნიშვნელობა ექნება კავკასიის ერთა მომავლისთვის. აქ საჭირო იქნება მობილიზაცია ტექნიკურ ძალების და აუცილებლად გამოყენება ერთა ლიგის და მის ტექნიკურ აპარატების. კავკასიის ერების ხელმძღვანელთა პირველი ნაბიჯი განთავისუფლების დღესვე უნდა იყოს სახელმწიფოებრივ ტექნიკურად მომზადებულ პირთაგან ექსტრა პარლამენტურ და ინტერ-კავკასიურ საბჭოს შედგენა ერთა ლიგის ექსპერტის ხელმძღვანელობით, მართვაგამგეობის და ურთიერთ შორის დამოკიდებულების მოწყობაში მოათაბირედ და დასახმარებლად. ჩვენ აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია კავკასიის ერთა ცხოვრების მოწესრიგების საქმეში ერთა ლიგის ჩარევა, მხოლოდ აქ ჩვენ არ ვგულისხმობთ ჩარევას მანდატის ფორმით, არამედ ერთა ნორმალურ ცხოვრების აღდგენას ლიგის ხელმძღვანელობით და დახმარებით. ერთა ლიგა დახმარებია არა ერთ გაჭირვებაში ჩავარდნილ ერს, მისი დახმარებით და ხელმძღვანელობით აღადგინა გაპარტახებისაგან ნორმალური ცხოვრება ისეთმა კულტურულმა ერმა, როგორც არის ავსტრია; უფრო მეტის მასშტაბით და მეტის ხნით დასპირდებათ ლიგის დახმარება კულტურულად ჩამორჩენილ და კომუნისტურ რეჟიმის მიერ ძალზე გაპარტახებულ კავკასიის ერებს. კავკასიის ერთა ხელმძღვანელებმა უნდა მიიღონ მხედველობაში, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ამა თუ იმ დარგში ხელშეკრულობით შეთანხმებულ პოლიტიკის მოწყობა ან ხელშეკრულობით ამ პოლიტიკის გაერთიანება წარმოადგენს ისეთ მძიმე ამოცანას, რომლის გადასაწყვეტად კავკასიის ერებს აუცილებლად დასპირდებათ ერთა ლიგის ექსპერტების ხელმძღვანელობა, სანამ დროთა განმავლობაში ისინი წელში არ გამაგრდებიან და არ შექმნიან თავიანთ წრიდან საკმარისად მომზადებულ და გამოცდილ ტექნიკურ ძალებს.

ვლ. გმუხვარი.

განიარაღების კონფერენცია

თვით გახსნის დღემდე, ორ თებერვლამდის, არავის სჯეროდა, თუ ეს კონფერენცია შეიკრიბებოდა. საერთო სექსტიციზმით იყო მსოფლიო საზოგადო აზროვნება მოცული. ყველა დარწმუნებული იყო, რომ ის კიდევ გადაიდება და შემდეგ რაიმე მიზეზს იბოვნიდენ. რათა მისი კვლავ მოწვევა უსარგებლოთ ეცნოთ.

პირველი შეხვედრით ეს შარბოაც ლოდიკურია. აბა რის მაქნისია განიარაღებაზე და კიდევ ახალ ხელშეკრულებებზე ლაზღანდარობა იმ დროს, როცა დიდი ზეიმით ინტერნაციონალური ხელშეკრულებები—ერთა ლიგის პაქტი, ბრიან-კელიგის პაქტი—ფეს ქვეშ ითელება, როცა ხუთი თვეა, უკვე შორეულ აღმოსავლეთში ზარბაზნები გვიგვიხებენ.

ადამიანის მარტივი ლოდიკით ასე ტლანქათ დაყენებული საკითხი, როცა ყოველივე გარეგნული ნიშნები მას კიდევ ამართლებენ, სასოწარკვეთილებში აყენებს საღ აზროვნებას. ამას სარგებლობენ ყველა ბნელი ძალები, რათა ეს სასოწარკვეთილი მდგომარეობა პანიკურ ატმოსფეროში გახვიონ, შექნან საზოგადოებრივი ფსიქოზი, გამოიწვიონ საერთაშორისო ომი, რომელიც მოსკოვის ქურუმების იმედებით «აუცილებლათ მსოფლიო რევოლუციათ გადაიქცევა» (იხილე სხვათა შორის რადიკის სტატია ქენევიდან 10 თებერვლის «იზვესტიაში»).

თუ ინგლისის და სხვა ქვეყნების სპეკულიანტ კაპიტალისტების იმედები რამდენიმეთ გამართლდა, თუ მათ ამ ომით კიდევ მოითფეს ხელი მეტროპოლითათვის მასალების მიწოდებით, ბოლშევიკების სიხარული ნაადრეგია.

ყოველ შემთხვევაში სცდებიან ისინი, ვინც წინააღმდეგ თავიანთ მიზნისა—შვიდობიანობის და თავისუფლების დამყარებისა. გადაჭარბებულ პესიმიზმს მისცემიან.

ჩინეთ-იაპონიის ომს აცხადებდენ მიზეზათ, რომლის გამო განიარაღების საქმე აუცილებლათ უნდა ჩაშლილიყო. ამაში გაერთიანდენ უკიდურესი რეაქციონერები და ბოლშევიკები, ურა პატრიოტები და ულტრა პაციფისტები, რომელთაც მობალშევიკო სოციალისტებიც არ ჩამოუვარდებიან—ზოგი განსაზღვრულ ბოროტი მიზნით, ზოგი კი გულუბრყვილობით.

რას ვხედავთ სინამდვილეში? ვისაც ამ სინამდვილის რომ გაეგება და აქ, ქენევაში, დებატებს უყურა, უნდა სთქვას კეთილსინდისიერად: განიარაღების საქმისთვის, რომ ჩინეთ-იაპონიის ომი არ არსებულებოდა, საჭირო იყო მისი გამოვლენა.

მართლაც საერთო დისკუსიები დამთავრდა. ყველა მთავრობებმა თავიანთი აზრი და პლანი წარმოადგინეს და, თუმცა ჯერ არავითარი შეთანხმებები არ მომხთარა, უკვე შეიძლება კონფერენციის მუშაობას საერთო ფიზიონომიის გარკვევა: არც ერთ დღეეგაციას არ შეეძლება წავიდეს ქენევიდან იმ

პასუხისმგებლობით, რომ მან უარი სთქვა შეიარაღების დაკლების შეთანხმებაზე. პირიქით, ყველა მათგანი ტყვედ ხდება თავიანთ განცხადებისა.

საფრანგეთმა თავისი პოზიტიური წინადადებებით უსათუოდ კონფერენციას ხელში გეგმონია ჩაივლო, გახდა ხელმძღვანელი და ასე ეს კონფერენცია პრაქტიკულ მუშაობის გზაზე დააყენა. მას ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ მისი წინადადება ეთანხმება ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციების საერთაშორისო კავშირისას, რომლის სახელით 6 თებერვალს მისმა თავმჯდომარემ ლორდ სესილმა ილაპარაკა. ის უახლოვდება პრინციპიალურად ყოველ შემთხვევაში, სოც. ინტერნაციონალის განიარაღების პროგრამას, რომელიც ვანდერველდემ იმავე დღესვე კონფერენციას გააცნო. რომ მშვიდობიანობა და ერის უფლება დაცული იქნას, საჭიროა საერთაშორისო ორგანიზმის გაძლიერება, მის განკარგულებაში გადაცემა შეიარაღებული ძალის. შეიარაღების დაკლება და ვერც განიარაღება თავისთავად უზრუნველყოფას ვერ შექმნის: დიდი ერი იმავე პირობებში ყოველთვის მოერევა პატარაებს.

საბჭოთა რუსეთის წარმოდგენილი სადემოკრაგიო პროგრამა, მიუხედავად გაათვეცებული პროპაგანდისა, სამარცხვინოთ ჩაფლავდა. მას მხოლოდ მარტო თურქეთი უჭერდა მხარს. ლიტვინოვის სიტყვა ტექნიკურის მხრით კარგათ შედგენილი იყო, მაგრამ მან ისე ცუდათ წაიკითხა ინგლისურად, რომ არავის არაფერი ესმოდა. ეს რასაკვირველია ხელს არ უშლის ბოლშევიკების აგენტებს, სწორედ პრესაში, «დიდი შთაბეჭდილება მოახდინა».

შინაარსის მხრით ლიტვინოვმა გამოიწვია დელეგატებში ირონიული ღიმილი, როცა ამბობდა საბჭოთა მთავრობა მშვიდობიანობის და ერთა თვით გამორკვევის ერთათერთი დამცველიაო. ამაზე ცნობილმა იურისტმა პოლიტისმა საკადრისი პასუხი გასცა, სწორეთ საბჭოთა «სრულიათ განიარაღების» პროექტის დასაფლავების დღეს 25 თებერვალს გენერალურ კომისიის სხდომაზე. მან შევერმეტყველურათ დაუხატა კრებას, რომ ლიტვინოვი ტყვილათ ჩემულობს («სრულიათ განიარაღების» მთლიპოლიურ ავტორობას, რომ ჯერ კიდევ 11 წ. წინეთ იყო ეს პროექტი წარმოდგენილი ნორვეგიის მთავრობის მიერ ერთა ლიგაში, რომელიც დაწვრილებით შესწავლის შემდეგ მიუღებლათ იქნა ცნობილი, რადგან ასეთ განიარაღებას წინ უნდა წაუძღვეს უზრუნველყოფა და ნდობა მეზობელ ერებში. რაც არავის აქვს საბჭოთა კავშირის მიმართო. მიმართა რა ლიტვინოვს, პოლიტისმა სთქვა: შექენით ჯერ ნდობა თქვენ მეზობლებს შორის და სრულიათ განიარაღებაზე შეერ გველაპარაკეთო».

კონფერენციის უდიდესი მუშაობა იწარმოებს კომისიებში. ამ მუშაობას დიდი დაბრკოლებები გადაეღობა წინ, ბევრი საკითხი ხანგრძლივ შესწავლას მოითხოვს და დიდ დისკუსიებასც გამოიწვევს. ბევრ კითხვებზე შეთანხმება მეტად ძნელი იქნება, მაგრამ პრინციპიალურათ შეთანხმება შედარებით მაინც ადვილათ მოხდება, რადგან კონფერენციას სხვა გზა

არ აქვს. დიქტატურის ქვეყნები, განსაკუთრებით რუსეთი, მთელი თავის ძალღლით შეებრძოლებიან საერთაშორისო შეიარაღებული ძალის შექმნის პროექტს. ეს იქნება ბრძოლი ქვეყნებში. სამაგიეროთ ყველა დელეგატები თანახმა იქნებიან შეიარაღების შემცირებაზე. მარა როდესაც საკითხი პრაქტიკულათ დაისმება ინტერნაციონალურ კონტროლის, მაშინ გამოირკვევა დიქტატურის ქვეყნების ნამდვილი პოზიცია, განსაკუთრებით იმავე საბჭოთა რუსეთის, რომელიც არავითარ ინტერნაციონალურ კონტროლს არ მიიღებს. ამით კი ის საქვეყნოთ ნიღაბს აიხთის და თავის ნამდვილ ვერავ მინოტიარისტულ ფიზიონომიას მსოფლიო საზოგადო აზროვნებას დაანახებს. ეს იქნება საუკეთესო დემონსტრაცია ბოლშევიკების სიფლიდისა.

ს. მ—ლი,

ბ რ ძ ლ ის კ ა ვ შ ი რ ი

შორეული აღმოსავლეთის შორეულმა ამბებმა რუსის ემიგრაცია აამოძრავა და გამოაცხველა. დიდი კრებები და ცხარე კამათი აქვთ, აქ პარიზში თუ სხვაგან. ზოგს რალაც იმედი ჩავსახა გულში, ზოგს შიში შეეპარა და ერთმანეთს გამწარებით უტყვენ. მართალია თუ არა ხმები, რომ იაპონია ბაიკალამდე აპირებს მისვლას, გაბედავენ საბჭოები წინამდებობას თუ ვერა? ამის გათვალისწინება არავის შეუძლია და არც იმის წინასწარმეტყველობა საზოგადოთ. თუ რა ამბებს უნდა მოველოდეთ იაპონიანინეთ-რუსეთის საზღვრებზე. ჩვენ არც გვინდა ამაზე შევჩერდეთ, გვინდა მხოლოდ ყურადღება მივაქციოთ ზოგიერთ მოვლენას რუსის ემიგრაციის სულიერ განწყობილებაში, რომელიც უკანასკნელმა ამბებმა უფრო ცხად ჰყვეს და ნათელი.

ამბობენ, პასივობა, გადამეტებული მოთმენა, მოკირვება რუსის ერის ისტორიულად შემუშავებული თვისებააო. არ ვიცი. ხლოო ეს პასივობა ფრიად ახასიათებს რუსის ემიგრანტულ პოლიტიკურ პარტიებს. მათი უმრავლესობისათვის აქამდე გადაუჭრელია ისეთი მთავარი და თან მარტივი საკითხი, როგორცაა: უნდა ებრძოლონ ბოლშევიკებს თუ არა? რასაკვირველია ეს საკითხი წინასწარ ჰგულისხმობს მეორე საკითხს: სასურველია თუ არა ბოლშევიზმი? უკანასკნელი ყველასთვის გარკვეულია—საბჭოთა წყობილება არავის მოსწონს, არავისთვისაა მისაღები. მაგრამ აქედან უმეტესობა აუცილებელს ლოლიკურს დასკვნას არ აკეთებს—არ დასკვნის ბრძოლის საჭიროებას.

არა. ბოლშევიზმი მიუღებელია, მაგრამ უნდა შევებრძოლოთ, ძალით გადავადოთ? ასეთ კითხვას სვამენ რუსის პარტიები და ყოყმანობენ, გადაჭრილ პასუხს ვერ იძლევიან. ვაი თუ—ამბობენ ზოგნი (აბრამოვიჩი, დანი და ძმანი მათნი): ბოლშევიზმი რომ გადავარდეს, მის შემკვიდრედ საშინელი რეაქცია დადგესო. ამის შიშით ყოველ აქტივობას გაუბრძიან, სიტყვიერ კრიტიკით კმაყოფილებიან და ლოია-



ლურ ოპოზიციას აწარმოებენ მარტოოდენ. ბოლშევიზმი თვითაა უარესი რეაქცია, ამბობენ ყოფილი კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიისანი: იმის უარესს ვერაფერს წარმოვიდგენთ. ხოლო ბოლშევიკურ წესწყობილებას რომ შევიბრძოლოთ, და დავამხონ. შესაძლებელია ამას აწინდელი ტერიტორიის დანაწილება მოყვეს, დამონებული ერები გადგნენ და ცალცალკე სახელმწიფოები დაარსონ. ამას სჯობია, ისევ მოვითმინოთ, ეგებ ერები უფრო შეუღულდნენ რუსეთს და მერე ველარ ჩამოშორდნენო. ზოგი იმდენად არის შეპყრობილი «მთლიანი და განუყოფელი რუსეთის» იდეით, რომ მზადაა ყოველი ბოლშევიკური სისაძაღვე აიტანოს და თითქმის ამჯობინებს, რუსეთი «მთლიანად» დაიღუპოს ბოლშევიკების კლანჭებში, ვიდრე განთავისუფლდეს დანაწილებული, ცალცალკე დამოუკიდებელი ერებად.

ამათგან შორს არ არიან წასულნი სხვადასხვა ახალი დაჯგუფებანი—ვერაზიელები, მლადორსეები, ახალი «ქალაქის» თუ რომის მიძიებელნი, ბუნაკოვოსანები და სხვა მისტიკოსები. ესენი ასე მსჯელობენ: ბოლშევიზმი დიდაც მიუღებელია, ხოლო ბოლშევიზმი არის უმაღლესი, ღვთაებრივი ზნეობის ძიება, და ამ უკვდავ აზრს ჩვენ უნდა ჩავეყიდოთ ხელი და ბოლშევიკების ბატონობა ისე არ უნდა მოვსპოთ, რომ ეს საღი მისწრაფება თან გადავაცყოლოთ. ამათი შეხედულებით, ბოლშევიკებმა იკისრეს უდიდესი მისია კაცობრიობის განახლებისა, მაგრამ ამას ვერ ასრულებენ ჯეროვანად, მათი მეთოდი არ ვარგა, საჭიროა სხვა გზით მიდგომა. ერთი სიტყვით, ბოლშევიზმი უნდა შესწორდეს, შეკეთდეს და მაშინ მისაღები გახდება. ცხადია: რაკი საკითხი ასე სდგას ამ ჯგუფებისთვის, მათ არ შეუძლიათ აქტიურად ებრძოლონ ბოლშევიკებს. მათი ტაქტიკაც აუცილებლად პასიურია, თუმცა მისტიური ბურჟუზში გახვეული, რომლიდანაც აშკარად გამოსჰყვივის ძველი სლავიანოფილური ნაციონალიზმი.

დიდს განსხვავებას ვერ ვხედავთ ამ მხრივ მემარჯვენე წრეებში. აქ მთავარი ყურადღება მიპყრობილია იმაზე, თუ როგორ უნდა მოეწყოს მომავალი რუსეთი—გინ იქნება იმპერატორი, როგორ აღსდგება ძველი პრივილეგიები, როგორ დაისჯებიან დამნაშავენი. დიდი აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ქიშპობა. შეურიგებლობა, მიუყარებლობა. მომავალ საშვიდროს განაწილების აზრებით გატაცებულნი იმდენად არ ზრუნავენ იმისთვის, თუ როგორ შეებრძოლონ ღვევანდელს ბატონებს და სამკვიდრო დაიბრუნონ. იმ ანდაზას მოგვაგონებენ: ღვინო არსად იყო და ეშმაკები ტიკს რეცხავდნენ.

უწყველია, რუსთა შორის არიან ელემენტები, აქტიურად განწყობილნი, რომელნიც სათანადო ანგარიშს უწევენ მდგომარეობას და მათ უპირველესს საზრუნავს შეადგენს ბრძოლა ბოლშევიკების წინააღმდეგ. მაგრამ რუსების საერთო განწყობილება იმდენად პასიურია და მოდუნებული, რომ აქტივისტების მოქმედებაც იჩრდილება და თვალსაჩინო ეფექტს ვერ ახდენს.

ამ პასივობასთან დაკავშირებულია რუსთა უმრავლესობის რწმენა, რომ ბოლშევიზმი რაღაც ჯა-

დოსნური და უძლეველი ძალაა, რომელთან შებრძოლებისაგანაც არა გამოვა რა. ყველა დარწმუნებულია, რომ ბოლშევიკებს ვერ დასძლევენ, ვერ წააქცივენ და ყოველივე ბრძოლა ამაოა. გაურბიან მსხვერპლს, განწირვას, სიცოცხლეთა დაღუპვას, თითქოს ისედაც ათასები და ასიათასები არ იღუპებოდნენ უმოწყალოდ. აქედან წარმოსდგება რაღაც სასწაულის იმედი, რომ ბოლშევიზმი თავისთავად შეიცვლება, გადაკეთდება ან მთლად დაემხოება, იმედი, რომელსაც არავითარი რეალური საფუძველი არა აქვს. «თავისთავად» ბოლშევიზმი იარსებებს მხოლოდ კიდევ რამდენსავე ათეულ წელიწადს და მიიყვანს რუსეთს იმ მდგომარეობამდე, რომ მას უკვე ველარაფერი დაიხსნის.

დამახსიათებელია კიდევ რუსების მოურიგებლობა არარუს ერებთან. საღი გონივრული პოლიტიკა და რუსეთის პირდაპირ კატასტროფული ვითარება ავალებს რუსებს შეთანხმებას ერთმანეთში, მეზომელ და მონათესავე დაჯგუფებათა შორის მაინც და ერთად აქტიურ მუშაობის წარმოებას, რომელიც აუცილებლად შედეგს მოიტანდა. ხოლო ეს არ კმაირა. საჭიროა—ამას დაყინებით მოითხოვს მდგომარეობა—რომ რუსის პარტიები შეუთანხმდნენ არარუსის ერებს. ამ შეთანხმებისთვის უპირველესად აუცილებელია, რომ რუსებმა გადაჭრით უნდა მიიღონ ბრძოლის ტაქტიკა, უნდა შეიგნონ, რომ უბრძოლველად ბოლშევიზმი არ გადავარდება, არც შეიცვლება, მეორე პირობა შეთანხმებისათვის არის ის, რომ რუსებმა ერთხელ და სამუდამოდ ხელი უნდა აიღონ არარუს ერების დამონებაზე, დაჩაგვრასა და დამორჩილებაზე, ამ სახით იქნება ეს თუ იმ სახით. ყველა ერთი, დიდი თუ მცირე, სუვერენულია და თავის სრული ბატონ პატრონია, როგორც უნდა ისე მოაწყობს თავის ცხოვრებას—ეს დებულება უნდა მიიღონ რუსებმა ყოველივე დავისა და შენიშვნის გარეშე.

რუსები უნდა მივიდნენ არარუს ერებთან, როგორც ძმა ძმებთან, თანასწორი თანასწორებთან და ის კი არ კითხონ: ხომ ჩვენი მომავალ სახელმწიფოს ფარგალში დარჩებითო? არამედ ერთის წინადადებით მიმართონ: ერთად ვებრძოლოთ საერთო მტერსო.

თუ ასე დაისმება საკითხი—ე. ი. დაისმება საკითხი ბრძოლის კავშირისა და არა რუსების მიერ არა რუსთა იძულებითი შეკავშირებისა ბოლშევიკურ ნანგრევებზე. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რუსთა და არარუსთა შეთანხმება მოხდება და ეს უწყველად გადავიღებს ბოლშევიკებთან ბრძოლას და დააჩქარებს მათ დამხობას.

ვიბრძოლოთ ერთად საერთო მტრის წინააღმდეგ, ხოლო თავისი მომავალი ყოველმა ერმა მოაწყოს თავისუფლად, როგორც მას სურდეს, როგორც მისი ინტერესი მოითხოვდეს, სხვათა თავისუფლების პატივისცემით.

ს. ფირცხალავა.

საქართველოში მოქალაქეების მართლმადიდებლობის აღდგენის საკითხი

საქმე კარგად მიდიოდა, მინამ სახალიფო ძლიერი იყო, მაგრამ როდესაც შესუსტდა, მდგომარეობა გამოიცვალა. დაწინაურდნენ და დაიჭირეს თვალსაჩინო თანამდებობანი თუ არა, თურქებმა ბატონობა დაიწყეს. გახსნეს აღმოსავლეთის სახლურები და შემოუშვეს თავისიანთა ახალი სტრუქტურა, რომელნიც ცალკე-ცალკე კი აღარ მოდიოდნენ, არამედ თემებად ან «ურდოებად», მემკვიდრეობითი მთავრების მეთაურობით. ეს ურდოები დაძრწოდნენ, სახლდებოდნენ, სადაც მოეწონებოდათ, ძარცვავდნენ და ჰყრიდნენ კიდევ ადგილობრივ მოსახლეობას.

თურქებმა ხელი აიღეს მალე თავიანთ წინაპრების წარმართობაზე და მიიღეს ისლამი, მაგრამ დიდი ცვლილება არ მოუხდენია ისლამს მათს ბუნებაში. ამ ახალ მოსულთა გასაცნობად ჩვენ არ უნდა აუთრიოთ ისინი ეხლანდელ სტამბოლელ ან მცირე აზიის ოსმალოებს. დღევანდელ ოსმალოებს ისე უხვად აქვთ შერეული ევროპული და ახლო აღმოსავლეთური სისწლი და ისეთი გავლენა განუცდიათ დასავლეთისა და სარკინოთა აზრებისა, რომ სრულიად განირჩევიან შორეულ წინაპრებისაგან.

მაგრამ თანამედროვე ოსმალოსაც საკმარისად აჩნია ნაკლებად სასიამოვნო თურანული თვისებები, დამახასიათებელი შიდა აზიაში უცვლელად დარჩენილ თურქებისა, რომელთაც ხშირად «თურქომაზებს» უწოდებენ.

როგორი იყო თურქების პირვანდელი ბუნება? ეს იყო ჯარისკაცი ხელობით; დისციპლინა შეადგენდა მის უმთავრეს მოვალეობას, აზრის ნაკლები თავისებურება და ნაკლები ცნობის მოყვარეობა; მის ნელს ტვირში ცოტა აზრი თუ დაბადებულა როდისმე და ის მცირედით, რაც შესულა მის თავში, სამხედრო ბძანებასავით მიუღია, უკამათოთ უნდა დამორჩილებოდა და განუსჯელად მიმხრობოდა. ასეთი იყო ის ხალხი, რომლის ხელში გადადიოდა დასუსტებულ სარკინოთაგან დავარდნილ ისლამის გამგებლობა.

ამაზე დიდი უბედურება შეუძლებელი იყო თვით ისლამისათვისაც და საზოგადოდ მთელის ქვეყნიერებისათვისაც. ისლამისათვის ეს იყო გონება-მძიმე ფარისევლთა ზედამხედველობა, ამათ მეფობის დროს შეუძლებელი გახდა პროგრესის სინათლე. ისლამის სამხედრო ძალა, რა თქმა უნდა, გაიზარდა, მაგრამ ამ ძალას ისე განუსჯელად ხმარობდნენ, რომ დამლუბველი შედეგი მოუტანა თვით ისლამს. თურქთა ურდოების პირველი ცნობილი საგმირო საქმენი იყო მცირე აზიის დაპყრობა და იერუსალიმის აღება. მეფეთმეფე საუკუნის ბოლოს. ამ დრომდე მცირე აზია საქრისტიანოს ნაწილს შეადგენდა. არაბთა პირველმა შემოსევამ მეზვიდე საუკუნეში გადალახა სირია და ტავრის მთის ზღუდეს წააწყდა და შეჩერდა; ბიზანტიის იმპერია მდგრადი დაიჭირა თადარიგი და, მიუხედავად შეტაკებებისა, ბიზანტიისა და სარკინოთა შუა საზღვრები დარჩა უმთავრესად იგივე. მაგრამ თურქებმა გაარღვიეს ბიზანტიის ზღუდე, განვლეს მცირე აზია და ემუქრე-

ბოდნენ კონსტანტინოპოლს; ქრისტიანობის ამ აღმოსავლეთ სიმაგრეს. რაც შეეხება იერუსალიმს, ის მუსულმანთა ხელში იყო 637-გან. როდესაც არაბებმა დაიპყრეს, მაგრამ ხალიფი ომარი დიდის პატივისცემით ეპყრობოდა ქრისტიანობის წმიდა ადგილთ და მის შემკვდრეთ არც უდევნიათ ადგილობრივი ქრისტიანნი, არც უდიერად მოქცევიან იმ უამრავ მლოცველებს, რომელნიც ყოველწლივ მოედინებოდნენ საქრისტიანოს ყველა კუთხიდგან. მაგრამ თურქებმა შესცვალეს ყველა ესე. ნადავლის მოყვარულთ და «ურჯულთა» მიმართ ფარისევლურ სიძულვილით გამსჭვალულთ, მათ გიჰძარცვენ წმიდა ადგილები. სდევსეს ქრისტიანები და შეუძლებელ ჰყვეს მლოცველთა მოგზაურობა.

ამ ორმა თითქმის ერთ და იმავე დროს მომხდარმა უბედურებამ უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა საქრისტიანოზე. საქრისტიანო დასავლეთი, სადაც რელიგიურ გულმოდგინებას უმაღლეს წერტილამდე მიედწია ამ დროს. შიშისა და იმავე დროს წყრომის თრთოლამ აიტანა. პეტრე განდევნილის მსგავსმა ათასმა გატაცებულმა ნამდვილი ბრანი მოსდეს მთელს ევროპას. ფანატიკოსობამ ფანატიკოსობა წარმოშვა, და საქრისტიანო დასავლეთთა თავს დაასხა მუსულმანთ აღმოსავლეთს მეომართა დიდი ლაშქრები იმ არა ჩვეულებრივ შორეულ ბრძოლისათვის. რომელსაც ჯგეროსნობის ომები დაერქვა.

თურქებისაგან ისლამის დაპყრობა და მისი საწინააღმდეგო ჯგეროსნათა ომები უდიდეს უბედურებას წარმოადგენდა ქვეყნიერებისათვის. ამ მოვლენებმა სამუდამოდ გააუარესა აღმოსავლეთის და დასავლეთის ურთიერთობა. მეათასიან წელს მუსულმანების და ქრისტიანების ურთიერთობა საკმაოდ კარგი იყო, და ყველაფერი მის გაუმჯობესობის იმედს იძლეოდა. ისლამის პირველ შემოსევით გამოწვეული სიძულვილი დავიწყებას ეძლეოდა ნელ-ნელა. საქრისტიანოსა და ისლამს შორის საზღვრები დაიდიოდა, და არც ერთი მხარე არ იჩენდა სურვილს მეორის უფლება შეეღახა. უთანხმოების ერთადერთი საგანი და ადგილი იყო ისპანეთი, სადაც ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის მუდმივი ბრძოლა სწარმოებდა. მაგრამ ერთი მხარეც და მეორეც ისპანეთის ამბებს ისე უყურებდა, როგორც სამზღვარზე მომხდარ წვრიმალნ უსიამოვნებას საერთოდ ისლამსა და საქრისტიანოს შორის განწყობილება უფრო და უფრო მეგობრული ხდებოდა და თანახიარობა უფრო ხშირი. ეს მეგობრული ერთობა რომ გაგრძელებულიყო, კაცობრიობის პროგრესისათვის მნიშვნელოვან შედეგებით დამთავრდებოდა.

მეცნიერებისა და კულტურის მხრით მუსულმანური ქვეყანა ჯერ კიდევ დიდად დაწინაურებული იყო ამ დროს დასავლეთ ევროპაზე, ოღონდ მაშინ როდესაც სარკინოთა ცივილიზაცია გაქვევების გზას ადგა, საქრისტიანო დასავლეთი, მიუხედავად თავის უმეცრებისა, სიტლანქისა და ბარბაროზობისა, სიცოცხლით სდულდა და მთელის თავის ძალღონით განვიარებას ეტანებოდა. რომ გაგებლებუ-



ლიყო იმ მეგობრობის ზრდა, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში იბადებოდა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ერთი და მეორეც დიდად მოგებული დარჩებოდა. დასავლეთი მოიგებდა იმას, რომ გავლენა სარკინოზთა კულტურისა, რომელიც შეიცავდა საბერძნეთისა და რომის ძველს ცოდნას, ბევრად დააჩქარებდა აღორძინების ხანას, ხოლო აღმოსავლეთი იმას, რომ საშუალო საუკუნეთა ევროპის გავლენა, მის უზომო სულიერ ძლიერების წყალობით ააშორებდა მუსულმანურ ცივილიზაციას დამბლას, რომელიც უკვე ეპარებოდა.

მაგრამ ასე ვერ მოხდა. გონება მახვილმა და ფაქიზის ზნე ჩვეულების პატრონმა სარკინოზთა თავხედისა და ფარისეველ თურქს დაუთმო ადგილი ისლამში. ისლამი ისევ ამოძრავდა. მაგრამ ესლა იდეალი კა არ ამოძრავებდა, როგორც უწინ, არამედ სისხლის, ძარცვისა და ნგრევის წყურვილი. ამან შექმნა დაუნდობელი ბრძოლა ერთადერთს შესაძლებელ ცივილიზაციასა და უმოწყალო და უუსაშველო ბაზაროზობას შორის. და ეს ბრძოლა უნდა გაგძლეულიყო მთელი საუკუნოები. ჯვაროსანთა ომები დასავლეთის საპასურო შეტევა იყო, თურქებისაგან ქრისტიანობაზე მოტანილ იერიშის მოსაგერებლად. ამ უკანასკნელმა ექვსასწელს გასტანა და საბოლოოდ შესლოდ ვენის კედლებთან იქმნა გაჩერებული 1683 წელს.

ბუნებრივია, რომ ამ მრავალ საუკუნის განმავლობაში წარმოებულმა ბრძოლამ დაბადა გამაგებული სიძულვილი და ფანატიკოზობა, რომელიც დღესაც კი სწამლავს ისლამისა და ქრისტიანობის ურთიერთობას. მუსტაფა ქემალის «ნაციონალისტ» ჯარისა და ბერძნეთს ლაშქარის მიკინვარება მცარე აზიაში, რომელსაც გადმოგვცემენ ჩინი განხეთქი, გაგძლებდა უმთავრესად იმ სიმკაცრასა, რომელსაც ამ რვაასის წლის წინად იჩენდნენ პალესტინაში ერთმანეთის მიმართ თურქები და ჯვაროსნები.

ამ წიგნის საგანს არ შეადგენს თურქებისა და ქრისტიანების ამ ძველ ომების დაწვრილებით შესწავლა. უნდა გვახსოვდეს მხოლოდ, რომ ეს ბრძოლა გადაიქცა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შუა აღმართულ მუდმივ ზღუდედ. რაც შეეხება მუსულმანურ აღმოსავლეთს, მისის, თურქების ტლანქ უღელქვეშ მოქცეულ სარკინოზულ ცივილიზაციით, მას უარესი უბედურობა ელოდა, უბედურება ისევ თურანის მიერ წარმოშობილი.

მე 12 საუკ. ბოლო ხანებში დროებით გაერთიანდნენ თურანულ რასის აღმოსავლეთური შტოები ერთერთ თემის მძლავრ წინამძღოლის, ჩინგის-ყაინის, გენიის წყალობით. მხეცზე უმხეცევი «უდრეკი იმპერატორი», — უბედურობის მომასწავებელი სახელი, რომელიც თვითონ დაირქვა, — დაიძრა ქვეყნიერობის საძარცვად. ჯერ გადაიარა ჩინეთის ჩრდილოეთზე, რომელიც სახიზრად ააოხრა და შემდეგ დასავლეთით განაგრძო გამანადგურებელი სვლა. ასეთი იყო დასაწყისი საშინელ «მონღოლთა», რომელთა ხსენება დღესაც ყრუანტელს ჰკვრის განათლებულ ქვეყნიერობას.

ჩინგის-ყაინი და მისი ცვენოსანი ურდოები,

რომელთაც თან ახლდნენ ციხეების დასანგრევად თოფის წამლის ხმარების მცოდნენი და დახელოვნებული ჩინელი ინჟინრები, უძლიველნი გამოდგნენ ყველგან. მონღოლები უსაშინლესი ბარბაროზები იყვნენ, რომელნიც ქვეყნიერობას როდესმე უნახავს. მათი მიზანი არ იყო დაეპყროთ ქვეყანა, რომ შიგთავიანთი რამ დაეარსებინათ, არც თვით ძარცვა, არამედ სისხლისა და განადგურების ნამდვილი სატანური წყურვილი ამოძრავებდათ. მთელ მოსახლეობათა ამოწყვეტა, ქალაქების დამოზობა, სოფლების გატივლება და შემდეგ ახალ ადგილებისაკენ გზად გადგომა, ამაზე მეტი დღესასწაული მათთვის არ არსებობდა.

ჩინგის-ყაინი დასავლეთისკენ წამოსვლის რამდენიმე წლის შემდეგ მოკვდა, მაგრამ მისმა მემკვიდრეებმა განაგრძეს მისი საქმე შეუნელებელის გულმოდგინებით. საქრისტიანოსა და ისლამს, ორივეს მოხვდა მონღოლური მათრახი. აღმოსავლეთი ევროპა ერთიანად განადგურებულ იქნა და ხელახლა გაბარბაროსდა იმ ზომამდე, რომ ოუსებს დღემდე ატყვიათ მონღოლურ ბუქდის ნიშნები. მაგრამ საქრისტიანოს უბედურობანი არაფერი იყო შედარებით იმასთან, რაც ისლამს გადახდა. მონღოლები არასდროს არ გასცილებიან პოლონეთსა და დასავლეთი ევროპა და მისი ცივილიზაცია გადარჩნენ. მონღოლთა ურდოები ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით მოასკდა მუსულმანურ ქვეყანას, ქარიზხალივით დატრიალდა ინდოეთიდგან ეგვიპტემდე და ყველაფერი გაძარცვა. ამოსწყვიტა და დაანგრია. საშუალო საუკუნეთა სპარსეთის ახლად დაბადებული ცივილიზაცია, რომელიც თურქების აოხრებისაგან იცავდა თავის სუსტს არსებობას და ამ მაჯლაჯუნას ებრძოდა, მონღოლურმა ქუსლმა გასრისა წმანდად. ამის შემდეგ იერიში მიიტანეს მუსულმანურ კულტურის ცენტრზე, ბაღდადზე. ეს ქალაქი ძლიერ დავცა ჰარუნ-ალ-რაშიდის ბედნიერ დღეთა შემდეგ, როდესაც ლეგენდების გადმოცემით, მისი მოსახლეობა მილიონებით ითვლებოდა. მიუხედავად ამისა ეს კიდე დიდი ქალაქი იყო, სახალიფოს სამყოფი და სარკინოზთა ცივილიზაციის უცილობელი ცენტრი. 1258 წ. მონღოლებმა იერიშით აიღეს, მთლად ამოწყვიტეს მოსახლეობა და აღგავეს ქალაქი დედამიწის პირისაგან. და ეს არ იყო კიდე ყველაზე უარესი. ბაღდადი მესოპოტამიის დედა ქალაქი იყო. ეს «მდინარეთა შუა მიწა» ჯერ კიდე კაცობრიობის ისტორიის რიქრატზე გამოგლიჯა ჰაობებსა და უდაბნოს დღეს დავიწყებულ ხალხთა მოთმინებამ და შრომამ. წარმოუდგენელის მუყათობით შექმნეს მათ საუცხოვო სარწყავ არხების რიგი, რომელმაც მესოპოტამია საუკუნო ბაღად და ქვეყნის ბელად აქცია. ვანგლეს საუკუნოებმა, მესოპოტამიამ ბევრი ბატონი გამოიცივლა, მაგრამ ყველა მისი დამპყრობი პატივითა და სიყვარულითაც კი ეპყრობოდა მის არხებს, ყოვლის კეთილდღეობის წყაროს. ეს ნამუშევრობა მონღოლებმა დაანგრიეს უგუნურად, მაგრამ განძრახ. ქვეყნიერობის უძველესი ცივილიზაცია, კაცობრიობის კულტურის აკვანი დაქცეულ იქმნა სამუდამოდ, კაცობრიობის რვა ათასის წლის

განუწყვეტელი შრომა არარად იქნა ქცეული, და მესობატამია გადაიქცა მავნე ბუნების მხარედ,—მიწა გამხმარი წყალნაკლებობის დროს. ჭაობიანი და ციებიანი წყალნაკლებობისა,—მხარედ, სადაც აქა იქ სახლობენ სისხლშერეული, ტალახისაგან აწუნებულ სოფლებში თავმოყრილნი, ფელანები, და მოხეტიალე ბედუინები ამოვებენ თავიანთ ჯოჯებს იქ, სადაც ძველად ყანები იყო.

(გაგრძელება იქნება)

საქართველოს ხმა ევროპაში

განიარაღების ელკვრენციის თავმჯდომარებს გადასცა ს. შაკიშვილმა, საქართველოს ერთნულ მთავრობის დელეგატმა ქენევაში, წერილი, რომელშიც, საქართველოს მაგალითზე, დახასიათებულია საბჭოთა მთავრობის ფლიდობა და ორპირობა განიარაღების საკითხში.

«თუმცა შეიარაღებათა შემცირების და განსაზღვრის საკითხი,—იწყებს ეს დოკუმენტი—არ ისმის საქართველოსთვის, რომელიც ამჟამათ უცხო სამხედრო ოკუპაციის რეჟიმს განიცდის, ქართველი ხალხი წინანდებურათ ღრმათ თანაუგრძნობს საყოველთაო მშვიდობიანობის და თავისუფლების იდეალს და ამიტომაც მას უაღრესად აინტერესებს კონფერენციის მუშაობა და მისი შედეგი. თვით საქართველო ხომ უკვე თერთმეტი წელია არამც თუ სავესებით განიარაღებული, არამედ მონობის უღელ ქვეშ მოქცეულია».

წერილის მიზანია ფარდა ახადოს კონფერენციაზე საბჭოთა დელეგაციის მიერ წარმოდგენილ ფარისევლურ პროექტს საერთო განიარაღებისას. «მართლაც საბჭოთა ოფიციალურ ჯარის (ნმ2 ათასი კაცი) გაუქმება არაფრით არ შეუშლიდა ხელს საბჭოთა მთავრობას ყოველგვარ საერთაშორისო კონტროლის გარეშე შეენახა და გაეძლიერებია ათჯერ უფრო მნიშვნელოვანი კადრები და შეიარაღება გეპეუსი და სამხედრო საზოგადოებებისა».

შემდეგ წერილი აღნიშნავს, რომ სწორეთ იმ დღეებში, როცა საბჭოების პირველი დელეგატი, ლიტვინოვი, წარმოსთქვამდა კონფერენციის წინაშე თავის სიტყვას სრული განიარაღების შესახებ, საბჭოთა პროფ. კავშირების საბჭო და ოსავიოხიმი უგზავნიდენ მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის სამხედრო საზოგადოებებს ცირკულიარულ განკარგულებას. «უზრუნველჰყონ კავშირთა წევრების სამხედრო მომზადება» და აკრიფონ თანხები «საომარ პროპაგანდისა და საროლის სწავლების სასარგებლოთ» (გახეთი «ტრუდ», 10 თებერვალი 1932 წ.).

ლიტვინოვმა განაცხადა, სხვათა შორის, თავის სიტყვაში, რომ «საბჭოთა მთავრობა თავისი არსებობის პირველ დღიდანვე გამოვიდა ერთი ერების მეორეთაგან ჩავრის წინააღმდეგ» და «რომ მან აღიარა თვითგამორკვევის უფლება».

«თუ მართალია—ამბობს ჩვენი მთავრობის დელეგატის დოკუმენტი—რომ საბჭოთა მთავრობამ საჯაროთ აღიარა ეს პრინციპები, მას არასოდეს არ

გაუტარებია ცხტვრებაში ისინი და მუდამ მოქმედებდა მათ წინააღმდეგ. ამის უდაო მაგალითს წარმოადგენს საქართველოს ბედი».

და დოკუმენტში მოყვანილია 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის დადებულ ხელშეკრულობის პირველი მუხლი, რომელშიც პირველი აღიარებს მეორეს დამოუკიდებლობას, საქვეყნოთ იღებს ვალდებულობას არასოდეს ჩაერიოს მის შინაურ საქმეებში და სხვ. ამას მოჰყვება საქართველოს დაპყრობას და დამპყრობთა მიერ მისი გაპარტახების ამბავი. ეკონომიურ განადგურებას თან მოჰყვა მოსახლეობის ფიზიკური განადგურება; ეროვნულ თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხის წინააღმდეგ უცხო მთავრობა არ ზოგავს არავითარ იარაღს და საომარ საშუალებას, რაცა ხელს არ უშლის ლიტვინოვს განაცხადოს კონფერენციაზე:

«მას შემდეგ საბჭოთა მთავრობას არასოდეს უღალატნია სხვა ერებთან მშვიდობიანი და ლოიალური თანამშრომლობის პოლიტიკისათვის... მან უარჰყო ომი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმიანოთაო».

ჩვენი ერთნული მთავრობის დელეგატი უარყოფს საბჭოთა დელეგაციის უფლებას ილაპარაკოს ქართველი ხალხის სახელით. «ჩვენ ვაცხადებთ, რომ ქართველ ერს არასოდეს აუღია ხელი თავის უზენაეს უფლებაზე თვით განაგოს თავისი ბედი, ის განაგრძობს ბრძოლას უცხო უღლისგან განთავისუფლებისათვის».

ქართველი ხალხი მიესალმება ყოველ წინსვლას შეიარაღებათა შემცირების და განსაზღვრის გზაზე, ის ეტრფის იმ მომენტს, როცა შესაძლებელი გახდება ნამდვილი განიარაღების განხორციელება. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ განიარაღების ეს ზომები ვერ უზრუნველყოფენ წვრილი ერების ხელშეუწყებლობას, მათ გასრესას მუდამ შესძლებენ ის სახელმწიფოები, რომელთ განკარგულებაშია მილიონი ადამიანები და ვეებერთელა საშვალეებიანი.

«რათა შესაძლებელი გახდეს ნამდვილი მშვიდობიანობის დამკვიდრება სამუდამოთ, ჩვენ საჭირო მიგვაჩნია აღიარებულ იქნას შემდეგი სამი პირობა: 1) ნამდვილი ცნობა თვითგამორკვევის უფლების; 2) გადაცემა ერთა ლიგის განკარგულებაში საერთაშორისო ძალების, რათა უზრუნველყოფილ იქნას საერთაშორისო ვალდებულებათა პატივისცემა;

3) შექმნა საერთაშორისო ორგანოსი, რომელიც სასტიკ კონტროლს გაუწევს თვითეულ სახელმწიფოს შეიარაღებას».

10 აპრილი

(კვრესპანდენცია ბერლინიდან)

მოდდა ის, რასაც ყველა მოელოდა. ჰინდენბურგი არჩეულ იქნა გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტად. და არჩეულ იქნა იმ უმრავლესობით, რომელსაც ძალიან ბევრი არ მოელოდა:—ფელდმარშალმა მიიღო 36.491.694 ხმიდან 19.359.642 ე. ი. აბსოლუტური უმრავლესობა. აბსოლუტური იქნებოდა ის მაშინაც, რომ არჩევნებში მიეღო მონაწილეობა იმა-



ვერიცის გერმანელ მოქალაქეებისას, როგორც 13 მარტს. გაუცრუვდა იმედი ნაციონალ-სოციალისტებს და მათ წინამძღოლს ჰიტლერს, რომელიც პირველი არჩევნების შემდეგ მედიდურად გაიძახოდა: «ჩვენი ხმების რაოდენობამ 11 მილიონს გადააცილა. თუ დიუსტემბერგის ხმებს ვიანგარიშებთ, ჩვენ 13.800.000 ვართ. და ჩვენ უნდა შევსძლოთ 2 ნახევარი მილიონი ამრჩეველი გამავსტაცოთ მოწინააღმდეგე ბანაკს და შეუერთოთ იმ ფრონტს, რომელსაც ის წამდვილად ეკუთვნის. ჩვენი ამოცანაა: 2 ნახევარი მილიონი მოტყუებული მოქალაქე მანაც გამოვგლიჯოთ ცენტრის და მარქსისტების ფრონტს და ნაციონალურ ფრონტში გავთქვიფოთ. 10 აპრილს ჩვენ ამ მიზანს უნდა მივაღწიოთ». და გოებლსი გაიძახოდა: «ჰიტლერი არჩეულ იქნება გერმანიის პრეზიდენტად-!». სინამდვილემ სულ სხვა სურათი გადაგვიშალა. ჰინდენბურგმა მიიღო 19.359.642 (13 მ. 18.650.730) ე. ი. მოიმატა 700.000 მეტი ხმა, ჰიტლერმა 13.417.560 (13 მ. 11.229.285) ე. ა. მოიმატა 2 მილ. მეტი, ტელმანმა 3.706.388 (13 მ. 4.983.197) ე. ი. დაჰკარგა 1.200.000 მეტი. ჰიტლერის რეზერვი, საიდანაც მას ბუნებრივად ხმები უნდა მომატებოდა, იყო:—დიუსტერბერგის და ვინტერის ხმები, რომელთაც მეორე არჩევნებში თავის კანდიდატურის წამოყენებაზე უარი განაცხადეს. პირველმა მიიღო 13 მარტს 2.557.590 ხოლო მეორემ 111.000 ხმა. ბ. ჰიტლერს ყველა ამ ხმების უკლებლივ მიღების იმედი ჰქონდა და მასთან მრავალი სხვის. და ხსენებულ რეზერვიდან, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა არა როგორც 13 მარტს 37.889.620 მოქალაქემ, არამედ 36.491.694,—ჰინდენბურგს მიემატა 700.000-ზე მეტი ხმა და შეიქნა აბსოლუტური უმრავლესობა—ყველა ხმების 53 პროცენტი. სად «დაიკარგა» კომუნისტების ხმები? როგორც ბევრმა შემარჯვენემ, ისე მრავალმა კომუნისტმა მეორე არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღეს, მაგრამ სულ უკანასკნელ 500.000 სტალინის და ტელმანის მიმდევარმა განიმეორა პრუსიის რეფერენდუმის დროს ჩადენილი «გმირული» საქციელი და თავისი ხმა ჰიტლერს მისცა. ამით კომუნისტურმა პარტიამ სამუდამოდ დაიმსახურა ის სახელი, რომელიც მის მოქმედებას და მას თვითონ მთელმა ინტერნაციონალურმა სოციალისტურმა და დემოკრატიულმა კრესამ დაარქვა: მოლაღატე, გამცემი.—და ასე გაიმარჯვა რესპუბლიკამ, გაიმარჯვა გონებამ: გერმანელ ხალხს დიდმა უმრავლესობამ უარი სთქვა ნაციონალ სოციალისტურ «მხსნელების» იდეალებზე, მათ «მესამე სახელმწიფოზე» და რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია მეფის ძველი გენერალი, რომელმაც მისცა რა ერთხელ სიტყვა ხალხს, პატიოსნად შეასრულა იგი და ამით მისი უსაზღვრო ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

ძალთა გადაჯგუფების საილიუსტრაციოთ 1925 წლიდან, როდესაც არჩეულ იქნა ჰინდენბურგი პრეზიდენტად, საინტერესოა შემდეგი ციფრები. ამ წელს ჰინდენბურგმა, რომელიც შემარჯვენების კანდიდატი იყო, მიიღო 14.700.000 ხმა, რესპუბლიკანელების კანდიდატმა მარქსმა—13.800.000, რეისტარგის არჩევნების დროს 14 სექტემბერს 1930 წ. შემარ-

ჯვეებმა მიიღეს 14.500.000, 10 აპრილს 1932 წ. რესპუბლიკანელების კანდიდატმა ჰინდენბურგმა მიიღო 19.359.642, შეერთებულ ნაციონალ-სოციალისტ-კომუნისტების ფრონტმა მისცა ჰიტლერს 13.417.460 ხმა. აშკარაა, რომ რესპუბლიკა ძლიერდება, წინ მიდის, მაგრდება, და ამ წინსვლაში უმთავრესი ღვაწლი გერმანიის სოციალ-დემოკრატისა და მის «რკინის ფრონტს» მიუძღვის. ბევრჯერ გადაარჩინა მან გერმანია უბედურებას და კიდევ ბევრჯერ გადაარჩენს. მან საქვეყნოდ აღიარა ის ჭეშმარიტება, რომ სამშობლო, სახელმწიფო, მით უმეტეს დემოკრატიული, და სოციალიზმი ერთმანეთს საწინააღმდეგო ცნებები კი არ არიან, არამედ ერთმანეთს ავსებენ და ამით ინტერნაციონალურადაც უფრო მნიშვნელოვანი ხდებიან...

მთელ სახელმწიფოში კი გაიმარჯვა გონებამ, მაგრამ რას იქმს პრუსია—ეს დედაბოძი რესპუბლიკისა,—პრუსია ბრაუნის და სევერინგის, რომელთა სახელი გერმანიის სოციალდემოკრატიის და მთელი დემოკრატიის პაროლია მომავალ არჩევნებში 24 აპრილს?..
ბ.—ანი.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

ტფილისში გარდაიცვალა საქართველოს კათალიკოსი ქრისტეფორე. ახალი კათალიკოსის არჩევამდე მის მოსაყდრის თანამდებობის ასრულებას შეუდგა მანგლელი მიტროპოლიტი კალისტრატე (ციცაძე).

— საქ. საღირექტივო ორგანოების გადაწყვეტილებით «სახელგამის» გამგეობას დაევალა უზრუნველყო 1932 წელს ლენინის თხუზულებათა სრული კრებულის ხუთი ტომის და ექვს ტომიანი კრებულის პირველი სამი ტომის გამოცემა.

— დაინიშნენ: საქ. სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ერისთავი, მსუბუქ მრეწველობის კომისრად—ბ. მდივანი, მის მოადგილედ ა. ფანცხავა, ა. კავკასიის წარმომადგენლად საკავშირო მთავრობასთან (ნაცვლად ი.მამულიასი)გ. ვაშაძე.

შ ე ნ ე ვ ა უ ი

19 აპრილს, საღამოს, საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურმა კომიტეტმა მოიწვია საგანგებო კრება განიარაღების კონფერენციაზე მოსულ ქართულ ცენტრის დღევანდელ გიორგი გვახავას პატივსაცემლათ, რომელსაც დაესწრო აგრეთვე ჩვენი მთავრობის წარმომადგენელი ხ. შავიშვილი.

კრებაზე იყვნენ სხვათა შორის ხსენებულ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ქენევის უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი ვერნერი, ამავე კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე ყან მარტენი და ცნობილი პროფესორი ედგარ მილო. გ. გვახავამ გააკეთა სადა და საინტერესო მოხსენება საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზე, რომელიც დიდის ყურადღებით და თანაგრძნობით იქნა მოსმენილი. ახრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ გულწრფელი მადლობა გამოუცხადა გვახავას.

ისტორიული ამბავი

3. საკანის ტყვე.

არჩილ მეფეს ორი ვაჟი დარჩა იოანე და ჯუანშერ და ოთხი ქალი. იოანე ეგრისში წავიდა და თან წაიტანა დედა. ასული გვარამ კურაპალატისა ბაგრატიანისა და ორნი დანი. ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი დარჩნენ ქართლსა და კახეთში. ერთი ამ დათაგანი ყველაზე უმცროსი, შუშან მეტად ლამაზი იყო; მისი სიმშვენიერის ქება ესმა ხაზარეთის *) საკანს-მეფეს. მოციქული მიუგზავნა ჯუანშერს და ითხოვა შუშან ცოლად და თან სარკინოზთა ზედა შველას ჰპირდებოდა. ჯუანშერმა ყოველივე იოანეს და დედას შეატყობინა. მათ არ ინებეს მიცემა და უთხრეს: «უკეთუ უღონო იქნეს ყოფა ჩვენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრე და შეიგინოს შვილი ჩვენი». თვითონ შუშანიც წინამდებელი იყო და ავინებდა ხაზართა მეფეს.

მაშინ საკანმა გამოგზავნა სპასალარი თვისი ბულჩანი დიდი ჯარით; გამოვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთში და მიაღვა ცხეს, სადა იყვნენ ჯუანშერ და მისი და შუშან. რამდენისამე დღის შემდგომად აიღო ცხე, დაატყვევა ორივე, შემუსრა ქალაქი ტფილისისა, წარტყვევა ქართლი და ყოველი ქვეყანა და გაბრუნდა უკან.

ქართლი რომ განვლეს, დამე დარიალის გზაზე დაივანეს. საზღვართან იყვნენ, ხვალ უკვე ხაზარეთში გადავიდოდნენ. ბულჩანმა დაძმა ციხის საკანში მოათავსა. თვითონ კარებთან კარავი გამართა და ირგვლივ ფხიზელი მცველები დააყენა.

მძიმედ ეძინა ჯუანშერს საკანში, ხოლო შუშან ვიწრო სარკმელს გადასცქეროდა და მთვარის შუქი ამოდ ეალურსებოდა სანუგეშებლად მის დატანჯულს სახეს. წელი ნიავეი ჰქროდა, ხეებს აშრიალებდა და ტკბილს სურნელებას განაბნევდა. შაშვნი სტვენდენ, შორს ნადირი რამ დაიღმეილებდა.

მთელი თავისი ქალწულოური არსებით უსმენდა ყველაფერს შუშან, სუნთქავდა და შესვამდა. ეს იყო ქართლი, იგი თავდებოდა და ხვალ უკვე უცხო ქვეყანაში. უცხო ნათესავთა შორის იქნებოდა. ველარასოდეს იხილავდა თავის მიწას, მამის საფლავს, დედას, ძმა-დებს. ველარ დაიტყუებდა თავისიანებს და ველარც მათი ცრემლი ეპკურებოდა მის გაცივებულს ტანს. ვერა გაიგონებდა ღვთის დიდებას, ვერცა სიტყვას ერისას, ვერა მორთავდენ მას დები საქორწილოთ... ველარ დასტკებოდა ქართლის ველით, კახეთის მთებით, ვგრისის ტყეებით და ხომ სამუდამოთ დაიხურებოდა ცა და აღარადეს შეასხამდა ფრთებს მის ნახს ოცნებას.

მოაგონდა კარის სამოთხე, ხეივანი ტურფა, ვარდნი მშვენიერნი და ყვავილნი ათასფეროვანნი და ბუჩქნარი წყაროსთან, სადაც ცელქობდა პატარობისას. და სტიროდა მწარედ შუშან, სდიოდა ცრემლთა ნაკადი და იყო ყრუდ, რათა არა სმენოდა რა ძმას.

სტოვებდა თავის ქვეყანას და მიდიოდა სად, ვი-

სთან? უცხონი და წარმართნი, კაცნი ველურნი იქნებოდნენ მის გარემო და ხაკანი, ვით ნადირი ტყისა, დაეპატრონებოდა მის სხეულს. გასთელავდა, ხოლო არა შეითვისებდა მის სულს, არ გაიგონებდა მის გულის ცემას, მისი გრძობების ფეთქას. დარჩებოდა მუდამ ტყვე. მხვევალი ბატონის, მორჩილი ბრძანებელის, მკვდარი სულით. წარწყმენდილი.

და განა უმჯობეს არ არს სიკვდილი ახლავე, აქვე ქართლის მიწაზე?

ასე ფიქრობდა შუშან და ხედავდა, რომ არავინ იყო მისი შემწე და დამხსნელი, რამეთუ მას ქამს შერისხულ იყო ღვთისაგან ქვეყანა ქართლისა.

მთვარეს შეხედა და შეავედრა თავი: «მთვარე, წარიღე შენი შუქით და გადაეცი ჩემს დედას ჩემი ამბორი საუკუნო და დააფრქვიე მის მკერდზე ჩემი ცრემლები.

«სირნო ტყისანო, გადაფრინდით შორს და ამცნეთ ჩემს ერს ჩემი კვნესა. ნადირო უცხო, იყავ გონიერ და მიუთხარ ჩემს თანამტოლთ ჩემს ყვავილის დაჰკნობა და დაბნელება სიმშვენიერის ჩვევის. და შენ, ნიავე, გადაიქროლე ქვევით ქართლისკენ და მიუტანე ტყეებს და ველებს, მთასა და ბარს მათი გაზდილის უკანასკნელი ამოსუნთქვა»...

წელა, ფეხაკრფვით მივიდა შუშან მძინარე ძმასთან, გადაწერა ჯვარი და ფრთხილად ემთხვია გულზე. მერე მიჯდა სარკმელთან, ამოულა თვალი ბექედს, რომელი ჰქონდა ხელზე, და მოსწოვა—იყო თვალსა ქვეშე წამალი სასიკვდილო—და სამუდამოთ მიიძინა...

გასწყრა ხაკანი არ მიყვანებდისათვის შუშანისა და ცოცხალი დაგლეჯინა ბულჩანი გაქენებულს ცხენებს. ხოლო ჯუანშერ დარჩა ტყვეობაში შვიდს წელიწადს. განეფინა ქადაგება მოჰამედისა, განდიდნენ სარკინოზნი და ქამითი-ქამად არბევდენ და აზრებდენ ქვეყანასა, დაიპყრეს ტფილისი და შექმნეს საყოფლად თვისად. და იქმნა სიმრავლე მთავართა ქართლისათა და ბრძოდენ ურთერთს.

უცალო იყო საბერძნეთი, განუდგა ერისთავი აფხაზეთისა. გამოაცხანდა თავისი თავი მეფედ და დაიკავა ეგრისი ლიხამდე. მიიცვალა ჯუანშერ და დასრულდა მეფობა ხოსროიანთა, მირიან-ვახტანგიანთა და გაძლიერდა ერისთავი ტაო-კლარჯეთისა აშოტ ბაგრატიონი.

ს. ფ.

ძაკთველები პარიზში

შაბათს, მაისის 7, Hotel George V სალონებში (31 Av. George V) «საქართველოსქმეგობრების ასოციაცია» მართავს დიდს ქართულ საღამოს და ბალს დიდი ოპერის მსახიობთა. მ. ნანობაშვილის და სხ. მონაწილეობით. საღამოს დიასახლისია პრინცესა მიურატისა. მთელი შემოსავალი გადაიდება ქართველ უმუშევართა და ტუბერკულოზით ავადმყოფთა სასარგებლოთ.

— აპრილის 24 შესდგა საფრან. ქართველთა საზოგადოების კრება. აირჩიეს ახალი გამგეობა: თავმჯდომარედ გ. ყურული. წევრებად—შ. აბდუშელი, ი. ჯაფარიძე, დ. ხარიჭორაშვილი, ვ. ნოზაძე, პატარიძე, დ. ვაჩნაძე.

*) დიდი სახელმწ. იყო კავკასიონის ჩრდილოეთით.